# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 47 სამშაბათი, 2 მარტი 1910 წ. № 47

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების [illegible] პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათ[illegible] ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა [illegible] თაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე [illegible] კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება [illegible] სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ. [illegible] განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, [illegible] ქ., ხ. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოს [illegible]

[illegible] წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭ[illegible] და კორესპონდენციებს ხელ არ ინა[illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible] მოლაპარაკება შეიძლება [illegible] გარდა დილის 10 საათიდან ნაშუა[illegible] ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЕБА".
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



თავადი რევაზ მიხეილის ძე ყარალაშვილი შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას უსაყვარლეს მეუღლის

კნ. სოფიო დიმიტრის ასულის ყარალაშვილისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, ნაშ. 1 ს. და საღ. 6 ს. ტფ. მიხეილის საავადმყოფოში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—1040—1)

ევა მიხეილის ასული და ლევან როსტომის ძე კობახიძენი ძმებით და რძლებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს რომ ოთხშაბათს, 3 მარტს, კალოუბნის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

სოფიო (საშა) მიხეილის ასული აბაზაძისა

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (1—163—1)

სამშაბათს, 2 მარტს, ტფ. სახაზინო თეატრში

ა. ნ. ლისოვსკი

წაიკითხავს რუსულად ლექციას

„ინდივიდუალიზმი"

თანამედროვე ლიტერატურული მიმდინარეობანი.

განყოფილება პირველი: ლიტერატურული ევოლიუცია მეცხრამეტე საუკ. პრობლემა საზოგადოებრივობისა და პიროვნული. კოლექტივიზმი და ინდივიდუალიზმი.

განყოფილება მეორე. პიროვნების ტრაგედია.

„მეტერლინკი" და პშიბიშევსკი

ოთხშაბათს, სამ მარტს, იმავე შენობაში წაიკითხავს მეორე ლექციას:

„კოლექტივიზმი"

I

«ლიტერატურა და ცხოვრება რუსეთში და დასავლეთ ევროპაში მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის დასწყისი».

II

„კოლექტივიზმი მ. გორკისა და ლ. ანდრეევის შემოქმედებაში.

III

„პიროვნების პროტესტი „სანინი" არციბაშევისა".

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების ფასი 20 კაპ-დან 2 მან-დის. (2—დღ.—2)

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—17)

ისე ძნელი არ არის გაარჩიოთ

კარგი პაპიროსები ცუდისაგან, როგორც ეს გვეჩვენება. გთხოვთ მხოლოდ შინჯოთ პაპიროსები ახალ თამბაქოს ფაბრიკის სავ. სახ.

„ძმები სეილანოვები"

ზეფირი 25 ც. 15 კაპ. და 10 ც. 6 კაპ.

ვოსხოდი 10 ცალი 5 კაპ.

მარსი 20 ცალი 5 კაპ.

რომ დარწმუნდეთ რომ ეს პაპიროსები ყველა ცნობილ პაპიროსებს სჯობია.

(15—ტ.—10)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დ [illegible] ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ[illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—[illegible]

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ.,

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი გ ს. თვალის, ორშ., [illegible] პარასკ. 2 2-ნახ. ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

ხოზოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—121)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

[illegible] გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

[illegible] გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

[illegible] ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

[illegible] მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

[illegible] ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა,

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—283)

სოლოლაკში

აზოვის ბანკის კვეშ, „პროვოდნიკის" ამხ.-გის გვერდზე,

ივ. გრ. კაჭკაჭევის

ახალ სამანუფაქტურო მაღაზიაში

მოვიდა ახალი ტრანსპორტი საქონლისა. რადგან ფირმას არა სურს დარჩეს ძველი საქონელი და რადგან უნდა, რომ მუშტარს მიაწოდოს ახალ სურათებიანი საქონელი, სეზონისთვის დაინიშნა

იაფობა

მხოლოდ ექვსი დღით

1, 2, 3, 4, 5, და 6 მარტს

აბრეშუმის, შალის, მაუდის, ტილოს და ბამბაზიის ქსოვილი და აგრეთვე საბნები, ზეწრები, იუბკები, წინსაფარები, ხელსახოცები, შარვლები და მრავალი სხვა საქონელი მართლა იაფ-ფასად.

შევაჭრება არ შეიძლება.

იაფობა (5—გაჟ.—2)

ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში გ. დ. ბეთანოვი

მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—2)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—111)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—128)

ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: აჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—28

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ასპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს. კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—16)

ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

დ. ქარელში

მედიცინის ფერშალი ლ. პ. ჯინორიძე

იღებს და ნახულობს ავადმყოფებს, უკეთებს ზოგიერთ ჭრილობებს (ოპერაციას), კანში შესასხამ წამლებს, მასაჟს, უცრის ყვავილს და ღებულობს ყოველ დღე საფერშლო საქმეს. (15—155—6)

ექიმი გ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—108)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—14)

ექიმი ზ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—38)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—377)

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს: შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—70


## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 მარტი.

### საზღვარ-გარედ.

**სტამბოლი**. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 7 მარტს მეფე ფერდინანდი ჩამოვა.

ოსმალეთის კონსტიტუციის ავტორის მითხად-ფაშის შვილმა ალი-ხაიდარმა საკასაციო სასამართლოში თხოვნა შეიტანა, მამა-ჩემის პროცესსი ხელმეორედ გადასინჯეთო.

**ბერლინი**. „ბერლ. ტაგებლ." ნიუ-იორკიდან დეპეშით ატყობინებენ: ბანკირ შიფფის სიტყვას ათასნაირ კომენტარიებს უკეთებენ. კონგრესსის წევრმა გარისსონმა განაცხადა, ძალიან დამაფიქრებელია შიფფის წინასწარმეტყველება იაპონიასთან ომის შესახებ. გარისონის აზრით ამერიკა თავის დღეში არ დასთანხმდება, რომ მორგანის მილიონიან ტრესტების დასაცველად, იაპონიას ომი გამოუცხადოსო.

**ვენეცია**. ტარნოვსკაიას პროცესი. წაიკითხეს ის დეპეშები, რომლებსაც ტარნოვსკაია და პრილუკოვი ერთი-ერთმანეთს უგზავნიდნენ. თავმჯდომარემ ყურადღება მიაქცია ტარნოვსკაიას დეპეშას ნაუმოვთან, გადავწყვიტე კომაროვსკის მივსთხოვდეო. როგორც ბოლოს გამოირკვა ტარნოვსკაიას და პრილუკოვს ეს დეპეშა ნაუმოვისთვის მიტომ გაუგზავნიათ, რომ კომაროვსკის მკვლელობაში ბრალი არავის დაედო. ამას გარდა პრილუკოვს პონტებბიდან ტარნოვსკაიასთვის ნაუმოვის სახელით დეპეშა გაუგზავნია. ნაუმოვი ვითომ ძალიან გაჯავრებული იყო, რომ ტარნოვსკაია კომაროვსკის მიჰყვებოდა. ერთი დეპეშით პრილუკოვი ტარნოვსკაიას ეკითხება, ცივი საჭმელი გინდა, თუ ცხელიო ე. ი. კომაროვსკი ცივი იარაღით მოვკლათ თუ რევოლვერითო. ტარნოვსკაიამ დეპეშითვე უპასუხა „ცხელი საჭმელით" ილაპარაკა ტარნოვსკაიამ. ტარნოვსკაიამ უამბო მოსამართლეებს თავის ბავშვობა და ქორწინება. მან სთქვა: ჩემი ქმარი ტარნოვსკი დღე და ღამეს კლუბში ატარებდა, ჰყავნდა საყვარლები და მე ყურადღებასაც არ მაქცევდა. ქმრის ასეთი ქცევა მტანჯავდა, გულს მიწყლულებდა. ამის გამო იტალიაში მოგზაურობა დავიწყე და აი, სწორედ აქ მივიღე ძმისგან დეპეშა, შენმა ქმარმა თავი მოიკლაო, რადგან ეგზამენი ვერ ჩააბარაო. ტყუილია ის ხმა, ვითომ ქმრის თვით-მკვლელობაში მეც მედოს ბრალი. 1899 წელს მოსკოვში გავიცანი პრილუკოვი და მისი ცოლი. ამ ხანებში ბნედა მჭირდა. 1899 წელს დედამთილის გარდაცვალების შემდეგ ქმართან ერთად საცხოვრებლად კიევში წავედი. კიევში ქმარი გარყვნილ ცხოვრებას ატარებდა. ერთხელ ქმართან მისი საყვარელი—ქალი ვნახე და ამის გამო ქმარი მივატოვე. მალე ავად გავხდი და ორი წლის განმავლობაში ძლივს მოვრჩი. მალე ქმარს შევურიგდი და მასთან ერთად ნიცაში წავედი. აქ გავიცანი კომაროვსკი. ნიციდან რუსეთში დავბრუნდი, წყლებზე უნდა მეწამლა. ქმარი ნიცაში დარჩა და აქ კომაროვსკი დუელში გამოიწვია. ტყუილია, ვითომ მე ვყოფილვიყავი დუელის მიზეზი. 1903 წელს კიევში გავიცანი ბორჟევსკი, რომელმაც მალე სიყვარული გამომიცხადა. მე თავს ვიმაგრებდი, მაგრამ ველარ შევსძელი და ბორჟევსკის დაუახლოვდი. ჩემ ქმარს და ბორჟევსკის დუელი არა ჰქონია. ქმარი ბორჟევსკის ერთ საღამოს შეურიგდა, გადაჰკოცნა და უცბად რევოლვერი ესროლა. ბორჟევსკი შემდეგ მენინგიტისაგან გარდაიცვალა. ბორჟევსკის მე უვლიდი და ჩემ კალთაში დალია სულიო (ტარნოვსკაიამ ტირილი დაიწყო).

**ბერლინი**. რეიხსტაგი. გზათა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, გზათა მინისტრმა პასუხი გასცა სოციალ-დემოკრატებს, რომლებმაც მინისტრს უსაყვედურეს, რუსეთის იმპერატორის გავლის დროს, რკინის გზები შეჰკრესო. მინისტრმა სთქვა: გზების შეკვრას ხარჯი არ გამოუწვევია და ამ შემთხვევაში მოვალეობა ავასრულეთ, რომელსაც ყოველთვის ვასრულებთ ხოლმე მეფეების გავლის დროსაო.

**სტამბოლი**. ანატოლიის რკინის გზების დირექტორის ამხანაგმა კაუტცმა თავის მხრივ სეკუნდანტებად დანიშნა გერმანიის საკონსულოს მოხელე გროსსი და „ფრანკფურტ ცაიტუნგის" კორესპონდენტი ვეიტცი. ორთავეს მხარის სეკუნდანტები ვერ შეთანხმდნენ. გადასწყვიტეს მიმართონ სუპერ-არბიტრს, გერმანიის სამხედრო აგენტს.

**კალკუტა**. ბანნუს ოლქში ყაჩაღებს დასაჭერად დაედევნენ ჯარისკაცები. ყაჩაღებმა მოჰკლეს ინგლისელი აფიცერი. ჯარის კაცებმა მოჰკლეს ექვსი, დასჭრეს და ტყვედ წაიყვანეს ექვსი ყაჩაღი.

**ჰამბურგი**. აღმოსავლეთ-აზიის საზოგადოების მიერ გამართულ სადილზე, სიტყვა წარმოსთქვა პრინცმა გენრიხმა. პრინცი შეეხო ინგლის-გერმანიის დამოკიდებულებას და სთქვა: ამ მოკლე ხანში ინგლისში ვიყავი და დავრწმუნდი, რომ ინგლისელები გერმანიას გულწრფელის მეგობრულის თვალით უყურებენ და არავითარი მტრული განზრახვა არა აქვთ. საჭიროა ხელი შეუწყოთ ორთავე სახელმწიფოების მეგობრობასაო.

**კალკუტა**. ჩამოვიდა დალაი-ლამა.

### სპარსეთი

**თავრიზი**. სათარ-ხანს და კავკასიელ ფიდაებს კრება ჰქონდათ. სათარ-ხანმა და კავკასიელმა ფიდაებმა გადასწყვიტეს, ძალით დაჰკეტონ დუქნები, რომ რუსის ჯარს საშუალება არა ჰქონდეს სურსათი იყიდოს. სათარ-ხანს ამით უნდა აიძულოს რუსის ჯარი, რომ სპარსეთი მიატოვოს. ქალაქში პროკლამაცია გამოსცეს, მცხოვრებლებს უწოდებენ მთავრობას შინაურ სესხის აღებაში ხელი შეუწყონ. სესხის პირობების შესახებ პროკლამაცია არას ამბობს.

**დურსეტ-გეიდარი** (სპარსეთი) ნაშუადღევის პირველ საათზედ მიწის ძვრა იყო.

### რუსეთი

**მოგილევი**. შკლოვისა და კოპისის შუა მატარებელში 12 კატორგელმა და ორმა გადასახლებულმა უცბად ჩააქრო სანთელი. სალდათს რევოლვერი წაართვა და სროლა დაუწყო დარაჯებს. მოკლულია ერთი სალდათი და ერთი კატორგელი, დაჭრილია ორი სალდათი და ათი კატორგელი.

**გროდნო**. ქუჩაში სალდათმა დანით სასიკვდილოდ დასჭრა საარტილერიო ბრიგადის პოლკოვნიკი ნიკიტინი.

**ლოძი**. დაიწვა ძმების დერინგების ქარხანა. ზარალი 200,000 მანეთს უდრის.

**ხარკოვი**. სამხედრო სასამართლომ გაარჩია 40 სოციალისტ-რევოლიუციონერის საქმე. სასამარ-

თლომ გადაუწყვეტა: თექვსმეტს სხვა და სხვა ვადით კატორგა, თერთმეტს გადასახლება, დანარჩენები გაამართლა.

**ხარკოვი**. გუშინ დღისით ქალაქიდან 15 ვერსის მანძილზე, რკინის გზაზე, უცნობმა მოჰკლა პრიამურის რკინის გზის როტის უფროსი იგნატიევი.

**ვარშავა**. 28 თებერვალს, ღამე, ვენის რკინის გზის მე-73 ვერსზე ლიანდაგიდან გადავარდა საქონლის მატარებლის სამი ვაგონი. ვაგონები სულერთიანად დაიმტვრა. მატარებლის მიმოსვლა დროებით შეჩერდა.

**ვორონეჟი**. დიდის ამბით დაასაფლავეს სოფელ სრედნი კარაჩაგში გლეხების მიერ მოკლული ურიადნიკი და დარაჯი. გამოძიებამ გამოარკვია, რომ კვლელობა გამოუწვევია ერთი გლეხის ნალაპარაკევს, ურიადნიკმა და დარაჯმა ჩემი შვილი დააპატიმრეს და ჩვენების ჩამორთმევის დროს უწყალოდ სცემესო. იმ დროს, როდესაც ურიადნიკს და დარაჯს გლეხები დასცემიან, ურიადნიკი და დარაჯი ფხიზლები ყოფილან. მთავარი მკვლელები აღმოაჩინეს. დააპატიმრეს 20 კაცი. სხვა დამნაშავეებსაც ეძებენ.

**პეტერბურგი**. ზელენინის ქუჩაზედ გადაიწვა ხუთ სართულიანი სახლი. სახლში უმთავრესად მოსწავლეები სცხოვრობდნენ ორი მოწაფე ბოლში დაიხრჩო, ორი ფანჯარიდან ქუჩაში გადმოხტნენ და იქვე გარდაიცვალნენ, სამიც გრძნობა დაკარგული საავადმყოფოში წაიყვანეს.

## ქუთაისის ამ-ბავი

**თავად-აზნაურთა კრება.**

**26 თებერვალი**

ამ დღის კრება გადაიტანეს ქალაქის გამგეობის დარბაზში, რადგან თეატრში ქ-ნ ან. თუმანიშვილის პატივსაცემლად წარმოდგენა იყო დანიშნული.

ქალაქის გამგეობის საკმაოდ დიდი დარბაზი სულ აივსო. უადგილობის გამო ბევრი ფეხზე სდგას. ზოგიერთი სტოლზედაც-კი შესკუპულა. კრების გახსნას იგვიანებენ. გამოჩნდა თავმჯდომარე და ითხოვა, რომ დარბაზიდან გავიდნენ ისინი, ვისაც ხმის უფლება არა აქვს. ეს უსიამოვნებას იწვევს, მაგრამ ხმას არავინ იღებს. თავმჯდომარე კვლავ იმეორებს თავის თხოვნას და თან დასძენს: იძულებული ვიქნები კრება დავხურო, თუ დარბაზს არ დასტოვებენ ის პირნი, რომელთაც ხმა არა აქვთო. აქეთ-იქიდან გაისმის, რომ თავმჯდომარის განკარგულება უსამართლოა და კანონის წინააღმდეგიო. თავმჯდომარე თავის განკარგულებას კანონიერად სცნობს და მდივანს წინადადებას აძლევს წაიკითხოს კანონი, რომლის ძალითაც კრებაზე დასწრების უფლება მარტო ხმის მქონე თავად-აზნაურებსა აქვთ. უხერხულ და უსიამოვნო მდგომარეობიდან კრება გამოჰყავს თავ. დავით ნიჟარაძეს, რომელიც კითხულობს ხსენებულ კანონის განმარტებას, რომლის ძალითაც კრებაზე დასწრების უფლება აქვს ყოველ თავად-აზნაურს. ამან კარგი დიდი დრო წაართვა ისედაც მოთმინება დაკარგულ კრებას, რომელიც „კენჭობის" ესწრაფება.

ეხლა კრება იძულებული გახდა თ-დ მიქელაძის საჩივრის განხილვას შესდგომოდა. მიქელაძეს ხმის უფლება ჰქონია, მაგრამ საბუთების წარდგენა დაჰგვიანებია და ეხლა ხმის მინიჭებას ითხოვდა. კრება წინააღმდეგი არ იყო ამისი, მაგრამ თავმჯდომარე, რომელსაც მეტი აღელვება ეტყობა, უთუოდ სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვის მოლოდინში, წინააღმდეგი გახდა ამისი. ასტყდა ლაპარაკი, რომლის დროსაც რაჰის წინამძღოლმა დ. ჯაფარიძემ ბრალი დასდო თ-დ წერეთელს, რომ მან თავის დროზე მიიღო მიქელაძის თხოვნა საბუთებით, მაგრამ განხილვა არ ინდომაო. კვლავ სიტყვები და კინკლაობა. ბოლოს საქმე იმითი გათავდა, რომ თავ. დ. ნიჟარაძის თხოვნით თავ. მიქელაძემ უკან წაიღო თავისი თხოვნა.

ჯერი სარევიზიო კომისიის მოხსენებაზე მიდგა. მდივანი კითხულობს მოხსენებას და გუბერნიის მარშლის და იმის მოადგილის თავ. დ. ნიჟარაძის განმარტებას. ერთიცა და მეორეც დიდმა უმრავლესობამ ვერ გაიგო კარგად, რადგან ხმაურობაა; აქეთ-იქიდან ითხოვენ სიჩუმის დამყარებას და მოხსენებათა ხელმეორედ განხილვას. ამას, რასაკვირველია, ყურს არავინ უგდებს და სიტყვა ეძლევა ინჟენერ სახაროვს ტეხნიკურ საკითხების განსამარტავად, მაგრამ ვიდრე ამაზე ვიტყოდე რასმეს, მოვიყვან სარევიზიო კომისიის მოხსენების უმთავრეს ადგილებს.

კომისია, აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ ანგარიშების საწარმოებლად ორი წიგნი არსებობს, ამბობს, რომ ბევრს ხარჯს გასამართლებელი საბუთი არ მოეპოვება და ამასთან მთავრობისაგან მიღებული ფული—160 ათასი მანეთი—და ბანკიდან ნასესხები—73,445—37 კაპ. — შემოსავალ-გასავლის წიგნში არ არის აღნიშნული და ცნობები ამ ფულის შესახებ, ისე როგორც გასამართლებელი საბუთები, სხვა და სხვა საქმეშია გაფანტული. საანგარიშო ხნის შემოსავალი უდრის 244,083 მ. 75 კ., ხოლო გასავალი 230,132 მ. 76 კ. დანარჩენ 13.150 მ. 97 კაპეიკის შესახებ გუბერნიის წინამძღოლს განუცხადებია, რომ 871 მ. 65 კ. ბანკშია, ხოლო 13,079 მ. 32 კ. დახარჯულიაო, თუმცა კომისიას ვერავითარი საბუთი უკანასკნელ განცხადებისა ვერ უპოვნია.

ამას გარდა, კომისია აღნიშნავს, რომ დეპუტატთა საკრებულოს საჭიროებისათვის გაუტანიათ საანგარიშო ხნის განმავლობაში 22,987 მ. 86 კ., თუმცა თავად-აზნაურთა საგანგებო კრების 16 ივნისს 1907 წლის გადაწყვეტილებით ამ საჭიროებისათვის შეეძლო ესესხათ—12,479 მან. 73 კ. სხვათა შორის, კომისია იმასაც კი აღნიშნავს, რომ დეპუტატთა საკრებულოს საჭიროებისათვის წაღებულ ზედ-მეტ ფულიდან 400 მანეთი უსესხებიათ კერძო პირისთვის, რომელსაც 200 მანეთი უკვე დაუბრუნებიათ. აქვე ჩამოთვლილია სია იმ მოსამსახურე პირთა, რომელთაც მიუღიათ ფული, ზოგს კანონიერად, ხოლო უმრავლესობას უკანონოდ.

გიმნაზიის შენობის შესახებ კომისია იმ აზრს გამოსთქვამს, რომ იგი ფართოდ არის განზრახული იმ საშუალებასთან შედარებით, რომელიც თავ.-აზნაურობას ხელთა აქვს, ამიტომ იგი ეხლავე დავალიანებულია, ხოლო როცა შენობა დამთავრდება, რასაც კომისიის აზრით 100 ათასი მანეთი დასჭირდება, იგი მძიმე ტვირთად დააწვება თავ.-აზნაურობასაო.

საზოგადოდ ხარჯის შესახებ კომისია აცხადებს, რომ ხარჯს უმთავრესად აწარმოებს თავ. ს. დ. წერეთელი სხვის დაუკითხავად. ამას გარდა, შენობის მშვლელობის ყურადღება ძვირად ჯდებაო.

დასასრულ კომისია ამბობს: 1. არჩეულ იქმნას ეხლავე საამშენებლო კომისია 8 კაცისაგან შემდგარი, და მას გადაეცეს შენობის საქმის წარმოება. 2. დაევალოს დეპუტატთა საკრებულოს, მოაწესრიგოს ანგარიშები და მიიღოს ზომები, რომ თავის საჭიროებისათვის წაღებული ფული დაუბრუნოს შენობის თანხით. 3. მიენდოს დეპუტატთა საკრებულოს და საამშენებლო კომისიას, გამონძებნონ საშუალებანი შენობის დასამთავრებლად. 4. დეპუტატთა საკრებულოს დაევალოს, რომ შენობისათვის საჭირო ფული გასცეს მარტო საამშენებლო კომისიის დადგენილების თანახმად. 5. ეთხოვოს გუბერნიის წინამძღოლს თავ. წერეთელს, ერთი თვის განმავლობაში წარუდგინოს საამშენებლო კომიტეტს გასამართლებელი საბუთები 13,079 მანეთისა, ან ნაღდი ფული. 6. იმ შემთხვევაში, თუ გაუგებრობა მოხდება მოიჯარადრისთვის მიცემულ ავანსების შესახებ, პასუხისგება ამ საქმეში დაედოს გუბერნიის წინამძღოლს თავ. წერეთელს.

კომისიის მოხსენების წაკითხვის შემდეგ, მდივანმა წაიკითხა მოხსენება თავ. ს. დ. წერეთლისა და თავ. დ. თ. ნიჟარაძისა ამავე საგნის შესახებ. ამ მოხსენებაში ზოგიერთი ცნობა კომისიისა გაბათილებულია, მაგრამ უმთავრესი დებულებანი სარევიზიო კომისიის მოხსენებისა შეურყეველნი დარჩა.

ინჟენერმა სახაროვმა ამის შემდეგ კრებას მიაწოდა ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი დასჭირდება ქართულ გიმნაზიის შენობის დამთავრებას, წინააღმდეგ კომისიის აზრისა, ბ-ნი სახაროვი ამტკიცებდა, რომ დასამთავრებლად შენობას დასჭირდება არა 100 ათასი მანეთი, არამედ 60 ათასი, ისე როგორც განზრახული იყო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროსაო.

კომისიის მოხსენების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ კრება მოინდომებდა ისეთ საქმის გამორკვევას, როგორიც აღმოჩნდა ანგარიშები, მაგრამ მან ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია მოხსენებაში აღნიშნულ ფაქტების განხილვას და იმაზე ატყდა ლაპარაკი—საჭიროა თუ არა ბუხჰალტრის მოწვევა.

კომისიის წევრმა **ალ. საყვარელიძემ** თავს იდვა საქმის განმარტება. გარდა იმისა, რომ საყვარელიძე ეჭვს აცხადებდა სახაროვის მიერ მოწოდებულ ცნობებში, მან აღნიშნა შემდეგი: მოიჯარადრის გირაო, რომლის რაოდენობა უნდა შეადგენდეს 15.000 მანეთს, ფაქტიურად არ არის. პირიქით, ბ-ნ საყვარელიძის სიტყვით, თავ. წერეთელს, გუბერნიის მარშალს, ავანსები მიუცია, ე. ი. მეტი ფული, ვიდრე მოიჯარადრეს ერგებოდა, ამის გამო ეხლა მოიჯარადრე ჩვენს ხელში კი არ არის, ჩვენა ვართ იმისაგან დამოკიდებულიო. უწესოება ანგარიშის წარმოებაში საარაკოაო,—სთქვა ბ-ნმა საყვარელიძემ—არ მოიპოვება გაწეულ ხარჯის დამამტკიცებელი საბუთები. იყო შემთხვევა, რომ ბაზარში მოგვიხდა ცნობების შეკრებაო. ბ-ნმა საყვარელიძემ აღნიშნა კერძო კაცზე სესხის გაღება იმ დროს, როცა მოსამსახურეებს ჯამაგირს ვერ აძლევდნენ და სხვა.

**თავ. ს. დ. წერეთელმა** უსაყვედურა კომისიას, რომელმაც არ ინდომა საქმის გამორკვევა მისი და მის მოადგილის თავ. დ. ნიჟარაძის დახმარებით, თორემ მაშინ კომისიაში აღნიშნულ ფაქტებს ადგილი არ ექნებოდაო. ჩეკები, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ, თავის ზედ-წარწერებით დაარწმუნებდა კომისიას, რომ გასამართლებელი საბუთები თუ აკლია ჩვენ მიერ გაღებულ ხარჯს, მათი რიცხვი მცირეა. დრო მცირე იყო, თორემ ბევრს ხარჯს გავიხსენებდითო, სთქვა დასასრულ თავ. წერეთელმა.

მერე გაიმართა გრძელი ბაასი ბუხჰალტრის მოწვევის საჭიროების შესახებ. დასასრულ, დ. ა. ლორთქიფანიძის წინადადებით, კრებამ საჭიროდ სცნო კომისიის არჩევა როგორც ანგარიშების მოსაწესრიგებლად, ისე შენობის აგების ყურისსაგდებლად. კვლავ ასტყდა ლაპარაკი—ვინ ავირჩიოთ კომისიაშიო. პირველ ყოვლისა დაასახელეს სარევიზიო კომისიის წევრი. დაასახელეს ერთი, უარი სთქვა, მეორე—უარი სთქვა. ჯერი მიდგა თავ. ჯანსუღ დადეშქელიანზე. გულის წყრომით უარი განაცხადა და სთქვა, რომ წარსულ შრომაში რა მადლობა გვითხარით რომ კვლავ გვახვევთ შრომასაო.

**თავ. ი. ნიჟარაძე**. დიდათ გმადლობთ... თქვენი მოხსენება სრულად მივიღეთ და სხვა რა უნდა გვექნა.

**თავ. ჯ. დადეშქელიანი**. საქმის განხილვამ დაგვარწმუნა, რომ იგი ბავშურად სწარმოობს. მე დარწმუნებული ვარ, სვანეთში უშკულის სასოფლო კანცელარიაში უფრო წესიერად აწარმოებენ ანგარიშებს, ვიდრე ჩვენ. თავ. კირილე ლორთქიფანიძეს უყიდნია სამი წიგნი ანგარიშების საწარმოებლად, 14 მან. მიუცია და დღეს რომ ნახოთ ის წიგნები, ისეთივეა, როგორიც მაღაზიაში იყო. ხოლო ეხლანდელი წიგნები რომ ნახოთ, ღიმილი მოგივათ, იმდენად არ ესაბამებიან თავიანთ დანიშნულებას. ამით მე ის არ მინდა ვსთქვა, რომ ფულია გაფლანგული, მაგრამ საქმეს მოწესრიგება ესაჭიროება ისე, როგორც კომისიის მოხსენებაშია აღნიშნული.

კვლავ შეუდგნენ კომისიის წევრების ძებნას და კრება ისე დაიხურა, რომ საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა.

საქმიანობის მხრით ამ კრებამ გადასწყვიტა მხოლოდ ერთი საკითხი—ნება დართო დეპუტატთა საკრებულოს ისესხოს ფული ქართულ გიმნაზიის შენობის გირაოდ.

კრება გადაიდო 27 თებერვლისათვის.

**ნატულიაშვილი.**

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი**. დეპუტატმა კარაულოვმა სინოდის ბიუჯეტზე მსჯელობის დროს სათათბიროში ჩვენ ეკლესიის შესახებ, მოლოდინის წინააღმდეგ, არა სთქვა რა. როგორც დანამდვილებით ამბობენ ხომიაკოვს ზემო სფერებიდან განსაკუთრებული ინსტრუქცია მიუღია, რის წყალობითაც ქართულ ეკლესიის მდგომარეობას არაკინ შეეხო.

როგორც უკვე იყო „დროებაში" მოხსენებული, კირიონ ეპისკოპოსმა სინოდში შეიტანა თხოვნა, რომელშიაც აღნიშნა: „ნება მომეცით, გავიცნო იაცკევიჩის გამოძიების ის ნაწილი, რომელიც პირადად მე შემეხებაო. ჩემი თხოვნის ასრულება ეხლა შესაძლო უნდა იყოს, რადგან ჩემ შესახებ საქმის წარმოება მოსპობილიაო". სინოდს ამ თხოვნის შესრულება შეუძლებლად უცვნია.

ანტონ ფურცელაძის პეტერბურგში ყოფნის დროს გამორკვეულა შემდეგი: ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის სარგებლიან ქაღალდების კურსის დაცემა, სხვათა შორის, იმისი მიზეზიც ყოფილა, რომ ბანკის ოპერაციებს და თვით ბანკს რუსეთის ბირჟა თითქმის სრულიად არ იცნობს. ასეთი აზრი წარმოუთქვამთ თვით ბირჟის და სხვა და სხვა ბანკის წარმომადგენელთ. ამიტომ ანტონ ფურცელაძეს მოულაპარაკნია რუსეთის ცენტრალურ ბანკთან (ამ ბანკში დირექტორად ვლადიმერ მიქელაძეა), რომელსაც უკისრნია საქმის ამ მხრივ გაკეთება. ცენტრალური ბანკი ეცდება—ტფილისის ბანკი თავის დროზე და ყველა ბირჟებზე იქონიონ სახეში და იცოდნენ მისი მდგომარეობა-ოპერაციები. უეჭველია, ეს ახალი ცვლილება ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის ქაღალდების კურს ასწევს.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**დასახლება**. გადმომსახლებელ სამმართველოს უფროსი და მიწად-მოქმედების მთავარ სამმართველოს რწმუნებული ბ-ნი არხიპოვი ძალიან სცდილობს რუსეთიდან გადმოსახლების საქმის რიგიანად მოწყობას. როგორც გადმოსახლების სამმართველოს მოქმედებიდანა სჩანს, გადაწყვეტილია ყოველივე ღონე იხმარონ, რომ რაც შეიძლება მალე დაიჭირონ შავი და კასპიის ზღვების ნაპირად და სხვაგან თავისუფალი ადგილები. ორი ზღვის ნაპირების გარდა, დასასახლებლად არჩეულია ტფილისის გუბერნია, ყარსის ოლქი და სხვა. ტფილისის გუბერნიაში სავლეხო ბანკს უკვე დიდძალი ადგილი აქვს. ამ დღეებში ბ-ნი არხიპოვი სპეციალისტ ინსტრუქტორების თანხლებით დასასახლებელ ადგილების დასათვალიერებლად ჩერნომორსკის გუბერნიაში წავიდა.

**„წერა-კითხვის საზოგადოების მოამბე"**. ამ სათაურით გამოვიდა პირველი ნომერი წერა-კითხვის საზოგადოების ჟურნალისა. წლიურად ჟურნალი ერთ მანეთადა ღირს, ცალკე ნომერი—ორ შაურად. ამ ნომერში მოთავსებულია ანგარიშები კრებისა და ცნობები საზოგადოების შესახებ. საზოგადოებას უკვე თერთმეტი განყოფილება ჰქონია შემდეგ ქალაქებში: ახალ სენაკში, ბათუმში, ბაქოში, კავკავში, სამტრედიაში, ქუთაისში, ყვირილაში, შიათურაში, ხონში, თელავში და სოხუმში. სკოლაც თერთმეტი ჰქონია: ქუთაისში, ბათუმში, წინარეხში, ძველ-სენაკში, კავკავში, გამარეთში, ყალამშიაში, საგურამოში, გიორგიწმინდაში, ნავთლუხში და ბაქოში. ყველაზე მეტად ბიბლიოთეკა-სამკითხველოების რიცხვს უმრავლნია: ამ ჟამად საზოგადოებას ჰქონია 26 ბიბლიოთეკა-სამკითხველო სხვა-და-სხვა ქალაქში და დაბასოფელში.

**საელექტრონო სადგური**. 26 თებერვალს მოხდა თათბირი ქალაქის გამგეობისა და ხმოსნებისა საელექტრონო სადგურის აგების შესახებ. თათბირს დაესწრო პროფესორი არტემიევი, რომელმაც ვრცელი მოხსენება წაიკითხა. თავმჯდომარემ ალ. ი. ხატისოვმა გააცნო დამსწრეთ ამ საკითხის ვითარება. როგორც გამოირკვა, სადგურისთვის საჭიროა ნახევარი მილიონი მანეთი. აქედან 200,000 მან. დასჭირდება სადგურის აგებას, ხოლო 300,000 მან. ელექტრონის მავთულებისა, ბოძებისა და ლამპების მოწყობას. გამგეობა საჭიროდა სცნობს ეხლავე საელექტრონო სადგურის აგებას, რადგან საგიდრავლიკო სადგურის მოწყობას 6 მილიონი მანეთი დასჭირდება და ამ ფულს-კი ქალაქი სესხის აღებამდე ვერ იშოვნის. პროფესორ არტემიევმა კარგა ხანს ილაპარაკა. იმის აზრითაც საელექტრონო სადგურის აშენება ეხლავე შეიძლება. ეს საქმე არ შეაფერხებს საგიდრავლიკო სადგურის საქმეს, რადგან ეხლანდელი მოწყობილებანი საგიდრავლიკო სადგურისთვისაც გამოდგებაო. ამასთან ვიდრე საგიდრავლიკო სადგური გაკეთდებოდეს, ქალაქი იმ ფულს აინაზღაურებს, რაც სადგურსა და საელექტრონო მანქანებზე დაიხარჯებაო. საგიდრავლიკო სადგურის აშენება, პროფესორის აზრით, არ უნდა შეურთდეს დასალევ წყლის გამოყვანას, რადგან სადგური მტკვარზედაც კარგად გაკეთდებაო. თათბირმა გასტანა ღამის 12 საათამდე. პროფესორს არტემიევს მადლობა გადაუხადეს რჩევისათვის.

**ა. ლისოვსკის ლექციები**. დღეს, 2 მარტს, სახაზინო თეატრში ა. ნ. ლისოვსკი წაიკითხავს პირველ ლექციას „ინდივიდუალიზმზე". ლექტორი შეეხება ლიტერატურულ ევოლიუციას მე-19 საუკუნეში, საზოგადოებრივ პრობლემებს, კოლექტივიზმს და ინდივიდუალიზმს, ირრაციონალურ შემოქმედებას, მეტერლინკს, უალდს, პშიბიშევსკის, ჰამსუნს. მეორე ლექციას—კოლექტივიზმზე — ლისოვსკი წაიკითხავს ხვალ. ლექციები დაიწყება საღამოს 8 საათზე.

**ნამესტნიკის წარმომადგენლის ჩამოსვლა**. 27 თებერვალს პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა ნამესტნიკის წარმომადგენელი უმაღლეს დაწესებულებებში, სახელ. საბჭოს წევრი და სენატორი ა. ნიკოლსკი. ნიკოლსკი „ორიანტის" სასტუმროში ჩამოხტა.

**სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე**. წრის ახალმა გამგეობამ უკვე აირჩია პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ—ქ-ნი ბ. გ. მაღალაშვილი. თავმჯდომარის ამხანაგად—ლ. რ. ვახვახიშვილი, მდივნად—ს. ტ. ტორომელიძე, ხაზინადრად—[illegible], [illegible]—ა. ჰ. [illegible]შვილი, რევიზორად კვლავ ც. ნ. შაფარიშვილი.

**ახალი კლუბი**. გაზ. „ტფ. ლისტოკ"-ში ამას წინად დაიბეჭდა, ვითომ „ახალ კლუბის" საბჭომ შეაჩერა მოქმედება და მალე სალიკვიდაციო კრებასაც მოიწვევსო. გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ეს ამბავი ყოველსავე სიმართლეს მოკლებულია. საბჭო სცდილობს, საზაფხულო სადგომი იშოვნოს.

**ქალაქის სესხი**. ტფ. ქალაქის გამგეობასა და საფინანსო კომისიას თითქმის ყოველ დღე სხდომები აქვს ქალაქის მე 4 საობლიგაციო სესხის გასანაღდებლად. გამგეობამ წინადადება მიიღო როგორც ბელგიისა, ისე ინგლისის კაპიტალისტებისაგან. გუშინ საღამოთი ქალაქის საბჭოს ამავე საკითხის შესახებ კერძო თათბირი ჰქონდა. პირობები სესხის განაღდებისა ჯერ საიდუმლოდ არის დაცული, რომ საქმის დამთავრებას ხელი არ შეუშალოს.

**„განათლება"**. მოგვივიდა ყოველ-თვიური ჟურნალი „განათლება", მესამე ნომერი.

28 თებერვალს, დილის 10 საათზე, ვაკეზე ტფ. სასულიერო სემინარიის სადგომის გამთბობ განყოფილებაში ცეცხლი გაჩნდა. მქრობელმა რაზმა მალე მოახერხა ჩაქრობა.

27—28 თებერვალს ტფ. მეორე, მესამე, მე-12, მე-8, და მე-11 საპოლიციო ნაწილებში დააპატიმრეს 64 უპასპორტო კაცი.

გუმბრის მაზრის სოფ. კარაკლისის მცხოვრებმა მარიამ კროიანცისამ თავისი შვილი დაახრჩო. კროიანცს შეურჩევია დრო, როდესაც ქმარი შინ არა ყოფილა და ერთი თვის ვაჟი ფეხის ადგილში ჩაუგდია. ბავშვი მკვდარი ამოიღეს. კროიანცი დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

27 თებერვალს დააპატიმრეს საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული და ნება დაურთველად დაბრუნებული გეურქ დარჩიევი.

### ქუთაისი

**კანცელარიის გამგის დათხოვნა**. გუბერნატორის კანცელარიის გამგეს პოკორსკის სამსახურიდან ითხოვენ. როგორც ისმის, მას ჰბრალდება სამსახურის აღსრულების დროს სხვა-და-სხვა შეუფერებელ საქმის ჩადენა. იმის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა უფროსი თანაშემწე კანცელარიის გამგისა ანდრიანოვი.

**ქართულ გიმნაზიაში**. ქართულ გიმნაზიაში, როგორც მკითხველსაც მოეხსენება, უკანასკნელ ხანებში რაღაც არა ჩვეულებრივი საქმე ხდებოდა. ერთხელ სარდაფში დაწყობილ შეშას ცეცხლი გაუჩინეს, მეორედ შესავალ კარს ნავთი დაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს, მესამედ სწავლის დროს რაღაც ასაფეთქებელ ნივთიერებით ბოთლი მოიტანეს და პატრუქს ცეცხლი მისცეს ბოთლის ასაფეთქებლად. ამ გარემოებამ სასტიკი გამოძიება გამოიწვია. როგორც გავიგეთ, ამ საქმის ჩამდენნი მოსწავლენი ყოფილან, რომელნიც უკვე აღმოაჩინეს. სამი მათგანი—ავალიანი, მესხი და არეშიძე—დაითხოვეს, რის შემდეგაც ისინი პოლიციას დაუპატიმრებია. დანარჩენი 7 კაცი გიმნაზიის ადმინისტრაციას დაუთხოვნია იმ პირობით, რომ მათ უფლება მიეცეთ შესავალი ეგზამენები დაიჭირონ შესაფერ კლასებში.

**ქართული ენის მასწავლებელი**. ქართული ენის მასწავლებლად ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მეხუთესა და მეექვსე კლასებში, ნაცვლად განსვენებულ მ. ჩოგოვაძისა, მიუწვევიათ, ქართულ გიმნაზიის მასწავლებელი სამსონ ყიფიანი.

**შავი-ქვის მრეწველთა კრება**. მიმდინარე წლის მომავალ მარტში განზრახულია შავი-ქვის მრეწველთა მეცამეტე მორიგ კრების მო-

წევა ქუთაისში. კრების საბჭომ ამის შესახებ უკვე წარუდგინა სათანადო მთავრობას მოქმედების გეგმა. გეგმაში საბჭოს მიერ შეტანილია შემდეგი მუხლები:

1. არჩევა კრების მდივნისა; 2. განხილვა ანგარიშებისა: ა) საბჭოსი 1908—1909 წლის. ბ) სარევიზიო კომისიისა და გ) ჭიათურის შტოზე ბაქნებისა და ვაგონების გამწესრიგებელ კომიტეტისა; 3. განხილვა სტატისტიკურ ცნობებისა მაღაროებიდან გამოტანილ მადნის შესახებ; რკინის გზის სადგურებზე (ჭიათურა-ჭიქაურა-დარკვეთი) მოზიდულ მადნის რაოდენობის შესახებ და გაზიდის რაოდენობაზე; გადასაზიდ საშუალებებისა და საწყობ ადგილების შესახებ, როგორც ჭიათურის შტოზე, ისე დიდ ლიანდაგზე. 4. ჭიათურის სამრეწველო რაიონში ქვის მექანიკურ ჩამოსაშვების მოწყობა კრების ხარჯით საწყობებზე მადნის ჩამოსაზიდად. 5. მაღაროებში სასმელი წყლის გაყვანა. 6. ფულით დახმარება კავკასიაში განზრახულ უმაღლეს სასწავლებელს. 7. სუბსიდიის დანიშვნა ქუთაისის ქიმიურ ლაბორატორიისათვის. 8. ჭიათურაში ქალთა ოთხ კლასიან პროგიმნაზიის დაარსება. 9. რკინის გზით შავი-ქვის გადაზიდვის გაუმჯობესება: ა) ჭიათურის შტოის ვიწრო ლიანდაგის ფართო ლიანდაგად გადაკეთება, ბ) ნორმალური საიჯარო გადასახადების დაწესების შესახებ მადნის საწყობ და სხვა ადგილებზე ჭიათურის შტოზე, გ) ჭიათურასა და ჭიქაურში მისასვლელ გზების გაყვან-გაუმჯობესება რკინის გზის მიერ, დ) ზევიდან გადასასვლელ ხიდის გაკეთება ჭიათურის სადგურზე, ე) შავი ქვის ბაქნებზე ფარდულების გაკეთება და რკინის გზის ვაგონების მოწყობა, რომ მადანი არ დასველდეს, და ვ) სხვა საკითხები მადნის გადაზიდვის შესახებ. 10. განხილვა და დამტკიცება მრეწველთა კრების 1910 წ. შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვისა და 11. თანამდებობის პირთა არჩევა.

## „ჯეჯილის“ დილა ქუთაისში

ტფილისის შემდეგ ჩვენს ყოველგვარ კულტურულ საქმეში ქუთაისი ცდილობს პირველობა დაისაკუთროს. ის, რაც ჩვენ დედა ქალაქში მოხდება, შემდეგ აქ იმართება. თუ მესვეურობის გაწევა არ შეგვიძლიან, ისიც კარგია, რომ მოწინავის ნაკვალევს მივდევთ. ასე იყო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის არსებობის აღსანიშნავად გამართულ დღესასწაულშიაც.

პარასკევს, 26 თებერვალს, შუადღისას ქალაქის თეატრში გაიმართა ზემოაღნიშნული დილა. უპირველესად უნდა შევნიშნო, რომ იმგვარ სურათს, როგორიც ამ დღეს თვალწინ გადაგვეშალა, ბავშვები კი არა, დიდებიც იშვიათად ვხედავთ.

თეატრი სავსე იყო პაწია მაყურებლებით. საამური ჟივილ-ხივილი, ტიტინი და კისკისი გაისმოდა. ყველანი გატაცებით შესცქეროდნენ თეატრის ჭრელ ფარდას.

აიხადა ფარდაც. მთელი სცენა პაწია ქალ-ვაჟით იყო სავსე. ცალმხარეს იდგა ყვავილებში ჩასმული ან. თუმანიშვილი-წერეთლის სურათი. დაიწყო მილოცვები. „ჯეჯილის“ პაწია მკითხველები ნორჩის ნაბიჯით თამამად უახლოვდებოდნენ სურათს, ხელში „ჯეჯილის“ ასოებისაგან შემდგარი გვირგვინები ეჭირათ, თავს უკრავდნენ „დედილო ანასტასიას“ და გზნებით კითხულობდნენ ლექსებს. ბავშვებმა დაასრულეს მილოცვა.

პარტერში გაისმა ვიღაცის საამური ხმა: „ბატონებო“. ყველანი სმენად გადაიქცნენ. ეს ჩვენი მცხოვანი აკაკი ლაპარაკობდა. მგოსანმა სიამოვნებით აღნიშნა ასეთი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში და უსურვა „ჯეჯილს“, მის დამთესს (ან. წერეთლისას) და მის მომავალთ (პაწია მკითხველებს) მრავალ-ჟამიერ კეთილ-დღეობა. ხორომ ორკესტრთან ერთად „მრავალ-ჟამიერი“ შეასრულა.

მეორე განყოფილება შესდგებოდა სიმღერებისა და ლექსებისაგან. წკრიალა ხმებით ნამღერ „გოგონაზე“ ჩინებული ლეკური დაუარეს ერთი ბეწო ბავშვებმა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილებმა. ლექსებს უმრავლესობა მშვენიერის ენით და გამოთქმით კითხულობდა.

შემდეგ დასდგეს ვოდევილი „მდგმური“. პაწია მოთამაშეებს დიდებზე უფრო თავისუფლად ეჭირათ თავი. ბევრი აცინეს მაყურებლები.

დასასრულ, ცოცხალმა სურათებმა დააგვირგვინეს საერთო საამური შთაბეჭდილება, და ნასიამოვნები მაყურებლები სამ საათზე დაიშალნენ. მეტად კარგად ჩაიარა ამ პირველმა ცდამ. ჯ.

## ტფ. ჟურნალისტთა კრება

როგორც ვიცით, ჟურნალისტების ლ. დ. ყიფიანისა და ვლ. ნაგურსკის საქმის გამო ჟურნალისტთა საზოგადოების კრებამ იანვრის ბოლო რიცხვებში განსაკუთრებული კომისია აირჩია და დაავალა გამოძიება ამ საქმისა. კომისიამ თავისი მოხსენება ჟურნალისტთა კრებას წარუდგინა შაბათს, 27 თებერვალს. კრება დაიწყო ნაშუადღევის 1 საათზე თავ. პ. მ. არღუთინსკის თავმჯდომარეობით.

განსაკუთრებულ კომისიას ამ საქმის გამო გამოუკითხავს ნ. ზ. ელიავასა, ა. ი. ხატისოვისა, თავ. ნ. გ. არღუთინსკისა, კ. ჯაფარიძისა, კ. აბაშიძისა, ლ. ყიფიანისა, ნერსესოვისა, ნესტერევისა და სხვათათვის. ჰუსეინ მინასაზოვს, ნაგურსკის და სერგეი მირზოევს ჩვენების მიცემაზე უარი განუცხადებიათ. ნაგურსკის, მაგ. უთქვამს: ჩემის აზრით, ჩვენში ჟურნალისტთა საზოგადოება არ არსებობს და ამიტომ ჩვენებას არ მოგცემთო. კომისიამ კრებას შემდეგი დასკვნა წარუდგინა:

1. ყოველ ეჭვს გარეშეა ფაქტი ნაგურსკი-ყიფიანისა და ხმოსან ს. ზ. მირზოევის შორის ხელშეკრულების დადების შესახებ; 2. მართალია აგრეთვე, რომ ბ-ნთ ნაგურსკიმ და ყიფიანმა ვექილობა მისცეს ს. მირზოევს სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებთან შესათანხმებლად; 3. ლ. ყიფიანი და ნაგურსკი ს. მირზოევისაგან ჯამაგირს იღებდნენ. მათ მიერ დაწერილ სტატიებს ეტყობა როგორც დაცვა, ისე ბრალდება; 4. არსებობა მირზოევსა და ბელგიის უსახელო საზოგადოების შორის ხელშეკრულობისა ლ. ყიფიანმა და ნაგურსკიმ უკანასკნელ ხანებში შეიტყეს. არ არის გამორკვეული ის ფაქტი, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან ბ-ნნი ნაგურსკი და ყიფიანი ფულს იღებდნენ; 5. კომისიის აზრით, საბოლოო სიტყვა ყიფიან-ნაგურსკის დანაშაულობის შესახებ უნდა ეკუთნოდეს განსაკუთრებულ სასამართლოს (судъ чести).

ამასთან კომისიამ წარუდგინა კრებას პროექტი სასამართლოს ორგანიზაციისა. პროექტით სასამართლო უნდა აირჩიოს ჟურნალისტთა საზოგადო კრებამ. სასამართლოში უნდა მოჰყვეს შვიდი კაცი. საქმის გარჩევა საჯაროდ უნდა მოხდეს. კომისიამ კრებას აცნობა, რომ მირზოევისაგან გაზეთში მუშაობისათვის ეძლეოდათ: ლ. ყიფიანს—120 მან., ნაგურსკის—90 მან., ნესტერევს—25 მან., მინასაზოვს—25 და ტერ-ნერსესოვს—10 მ. გაზეთისათვის ეძლეოდათ აგრეთვე ქაღალდი.

წაიკითხეს ბ-ნ ლ. ყიფიანის ჩვენება. ლ. ყიფიანი აღწერს, როგორ მიიწვია მირზოევმა გაზეთში სამუშაოდ. მირზოევს ყიფიანი ყველასაგან სანდო კაცს ასახელებს და ამბობს, არ შეგვეძლო წარმოგვედგინა, რომ მირზოევი ჩვენ შეთანხმებას სხვა მიზნისათვის გამოიყენებდა და უსახელო საზოგადოებასთან ხელშეკრულებას დასდებდა, როდესაც ტფილისში ხმა გავრცელდა ამ ხელშეკრულობაზე, ჩვენ—ამბობს ბ-ნი ყიფიანი,—შევეკითხეთ მირზოევს, მართალი იყო თუ არა. მან განაცხადა, რომ ეს ჭორებია, უსინდისო პირთაგან გავრცელებული ჩვენ შორის უსიამოვნების ჩამოსაგდებადაო. როდესაც ხუთ იანვრის უბედურებამ აგვაღელვა, ცხარე წერილები დავამზადეთ „კურიერ“-ში დასაბეჭდათ, მაგრამ მირზოევი წინააგვიდგა, მაშინ შევნიშნეთ: თქვენი მოქმედებით ამართლებთ ხმებს უსახელო საზოგადოებასთან შეთანხმების შესახებაო. ამ საყვედურების მოწამე იყო ხმოსანი არ. მ. ახნაზაროვი. ამის შემდეგ მირზოევმა „კურიერ“-ში დაბეჭდა კიდეც ჩემი წერილები უსახელო საზოგადოების დამღუპველ მოქმედების შესახებ. „კურიერ“-ის თანამშრომელთა გვარები, გამოქვეყნებული გაზეთებში, მართალია. გარდა მ. ჯაბარისა და სტ. ჭრელაშვილისა ყველა თანახმა იყო თანამშრომლობაზეო.

კრებაზე წაკითხულ იქმნა სტატიები ნაგურსკისა და ყიფიანისა სხვა და სხვა დროს „კურიერსა“ და „ზაკავკაზიეში“ მოთავსებული.

პირველად ამ დღეს ილაპარაკა ბ-ნმა ვლ. ნაგურსკიმ. ნაგურსკიმ გაიმეორა თავისი ნათქვამი, წინანდელ კრებაზე დაახასიათა მირზოევი, სთქვა, ხმოსანთა ერთი ჯგუფის ლიდერსა და ყველასაგან ცნობილ „ავლაბრის პაპაშაზე“ როგორ შეგვეძლო ეჭვი შეგვეტანაო. თავმჯდომარე შენიშვნას მაძლევს, ცხარედ ნუ ვილაპარაკებ და ნუ შევეხები პირადობას. განა იმის შემდეგ, რაც მწუხარება და დამცირება მოგვაყენეს არ შემიძლიან მშვიდობიანად ლაპარაკი. „ტიფ. ლისტ.“-მა და „ნოვ. რეჩმა“ განაჩენი საქმის გამოძიებამდე გამოიტანეს, დეპეშებით მთელი რუსეთი მორწყეს, ვითომ ჩვენ 100,000 მან. ქრთამი აგვეღოსო და სხვა. შემდეგ ნაგურსკი გადავიდა თავის წერილებზე და განაცხადა: ევროპის კაპიტალის ჩვენში სამოქმედოდ წამახალისებელი წერილი ბევრი დამიწერია მაშინაც, როდესაც არც-კი ვიცოდი ვინ იყო მირზოევი. ჩვენი ქვეყანა ძალიან ჩამორჩენილია. ევროპის კაპიტალი თუ შემოვიდა, წინ წავიწევთ. „ხოზიასტვენნი ეგოიზმიც“ და სხვა ჩემი წერილები გულწრფელად არის დაწერილი და არა რაიმე წინასწარ განზრახვით. როგორ შეიძლება ქალაქის თვით-მმართველობას გადაეცეს ტრამვაი, როდესაც ქალაქმა უდეფიციტოთ ოთხი დუქნის საქმეც ვერ აწარმოვა? ქალაქმა 100,000 მან. წააგო ხორცის დუქნების საქმის წარმოების დროს. ესეც არ იყოს, ეხლანდელი ხმოსნები არ არიან ქალაქის მცხოვრებთა ნამდვილი წარმომადგენელნი. ჩემ წერილში, თუ გნებავთ, სახეში მყავან გამგეობის წევრი ალ. ი. ხატისოვი და სხვანი, რომელნიც იაფ პოპულიარობით აპირებენ მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებას. განა ამათ შეუძლიანთ რთული საქმეები აწარმოონო...

გვიან იყო. დამსწრენი მოიქანცნენ. ამიტომ სხდომის გაგრძელება გადაიდო მეორე დღისთვის. რადგან ნებართვაზე არ ეზრუნათ დროით, 28 თებერვალს სხდომა გვიან დაიწყო. თავმჯდომარეობდა ბ. დავითაშვილი.

ბ-ნმა ნაგურსკიმ განაგრძო სიტყვა. ჟურ. საზოგადოებიდან უკვე გამოვედი და ჩემთვის, წინადაწინვე ვამბობ, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება ჟურნალისტთა კრების გადაწყვეტილებას. ან და რა ფასი აქვს ჟურნალისტთა კრებას, რომლის წევრთა უმრავლესობასაც შეადგენენ ნორდები, სტავროვსკები, ხეჩატუროვი თავის „კარის“ კაცებით და ქალაქის გამგეობის მოხელენიო. შემდეგ ნაგურსკიმ წაიკითხა ფელეტონები, რომლებშიაც იგი ეხება გოთუას, ხაჩატუროვს და სხვებს. ნაგურსკის დახასიათებული ჰყავს ძმები ხეჩატუროვები. განსაკუთრებით ჰკილავს ივ. ხეჩატუროვს, რომელმაც გორგიჯანოვის ბაღში სადილზე ქართულ ენას ძაღლის ენა უწოდა და დამსწრე სომხებს იწვევდა, ქართველები ჩავყლაპოთო. ნაგურსკი შეეხო აგრეთვე ნორდს და სხვებს, რომლებთანაც მე უსიამოვნება მომივიდაო. შეეხო აგრეთვე სხვა წევრებსაც და მათ შორის პ. გელეიშვილსაც; ამასთანაც შეტაკება მომიხდაო. აი, ეს პირნი არიან ჩემი ბრალმდებელნი და სასჯელის გადამწყვეტნი.

**ლ. ყიფიანი.** დასამატებელი აღარა მაქვს რა, ყველაფერი დავსწერე. ვითხოვ კიდევ, თუ ვისმე რამე გაქვთ სათქმელი ჩემ შესახებ, სთქვით, დასწერეთ და მიუდგომელი საზოგადოება დასდებს მსჯავრს ჩვენს მოქმედებაო.

კამათის დროს ორატორების უმრავლესობა თანახმა იყო კომისიის წინადადებისა—არჩეულ იქნას სასამართლო.

**კ. ჯაფარიძემ და ნ. ზ. ელიავამ** გაიმეორეს, რომ მათ ამ საქმის შესახებ არაფერი იცოდნენ. ელიავა შეეხო იმას, თუ მასა და ხმოსანთა ერთს ჯგუფს რა დამოკიდებულობა ჰქონდა მირზოევთან. სამეურნეო ინტერესების ნიადაგზე ხმოსანთა ერთი ნაწილი შეერთდა. ჩვენს წრეში ვიღებდით ყველას, ვინც პირობას მოგვცემდა ჯგუფის დისციპლინის დაურღვევლობაზე. მირზოევიც ასე იყო დაახლოვებული ჩვენთან. ეს დაახლოვება საბუთს არ აძლევდა ნაგურსკის და ყიფიანს, დიდის ნდობით მოჰკიდებოდნენ მირზოევს. თუ უნდოდათ ნდობა წინდაწინვე უნდა ეკითხათ ჩვენთვის, ასე გვწადიან და რას იტყვითო. იდეურად საერთო მირზოევთან არა მქონია რა, მაგრამ მირზოევი ეხლაც არ დამცირებულა ჩემს თვალში, რადგან მას ვიცნობ საქმიან და პატიოსან კაცად. ტრამვაის შესახებ საკითხების განხილვის დროს მირზოევი საბჭოს სხდომებს არ ესწრებოდა და ის, რაც მან მოიმოქმედა მისი შეხედულობის მეხედვით, არც გასაკვირველიაო. რაც შეეხება ქალაქის გამგეობასთან დამოკიდებულებას, მირზოევი დიდად საჭირო კაცი იყო ხმოსანთა ერთი ჯგუფისათვის, რადგან მან ბევრი რამ დაფარული, საიდუმლო იცოდა და გვეხმარებოდა ყველა ამის გამოაშკარავებაში.

**ნ. ცერცვაძემ** სიტყვა წარმოსთქვა. ეს საქმე დიდი და სერიოზულია და კრება არ უნდა აჩქარდეს მსჯავრის გამოსატანად. საქმე მარტო ყიფიანსა და ნაგურსკის არ შეეხება. ამ საქმესთან კავშირი აქვს ქალაქის თვით-მმართველობას, ტრამვაისა და ზოგიერთ ხმოსნებს. უნდა გამოირკვეს, ვინ არიან ჩვენში მოუსყიდველნი და უანგარო საზოგადო მოღვაწენი და ჟურნალისტები. ჟურნალისტთა საზოგადოებისა და პრესის უმეტესი ნაწილი მოსყიდულია ან თავიანთ უფროსებისაგან, ან ბანკებისაგან ან სავაჭრო ფირმებისაგან. ჩვენი ქალაქის თავები, წევრნი და ზოგი მომხელენი ყოფილ პუბლიცისტები არიანო. ავიღოთ თუნდა ჩვენი საზოგადოების წევრნი, მაგ., ივანე ხეჩატუროვი. ლევან ყიფიანმა რათ დაანება თავი „ლისტოკს?“ იმიტომ, რომ „ლისტოკის“ პატრონ-ბატონმა ხეჩატუროვმა პატივი არა სცა თავის თანამშრომელს. ხეჩატუროვმა ქართულ ენას „ძაღლური“ უწოდა და პროვოკაციულად სომხები მოიწვია, ქართველები ჩავყლაპოთო. აი ვინ უნდა განსაჯოს ნაგურსკი და ყიფიანი. ყიფიანს „ლისტოკის“ თანამშრომლებმაც მიაყენეს შეურაცხყოფა იმით, რომ გაამართლეს ხეჩატუროვის საქციელი, ვითომ მისი მოქმედება სამარცხვინო არ იყოს. განა თქვენ გაასამართლეთ ამ საქმისათვის ხეჩატუროვი და ლისტოკელები? ამათ რა უფლება აქვთ, სხვები გაასამართლონ?

**ალ. ივ. ხატისოვმაც** ილაპარაკა. ზოგიერთების სიტყვითაო, სთქვა მან, ჟურნალისტთა საზოგადოება შესდგება ბოროტ-მოქმედთა და ავაზაკებისაგან. თუ ასეა, მე პირველი ამოვირიცხები საზოგადოებიდან, მაგრამ ეს ყოველსავე სიმართლეს მოკლებულია და საკვირველია უსაბუთოდ ასეთ ბრალდებების წამოყენება. არსებითად საკითხის შესახებ ჩემს აზრს გამოვსთქვამ მაშინ, როდესაც სასამართლო შეუდგება ამ საქმის განხილვასაო.

დასასრულ, კრებამ დიდის ხმის უმეტესობით, დაადგინა ბ-ნთ ყიფიანისა და ნაგურსკის საქმე გადაეცეს სასამართლოს (судъ чести). ლაპარაკი იყო იმაზე, ვინ აერჩიათ სასამართლოს წევრებად. უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ სასამართლო შესდგეს საზოგადოდ ჟურნალისტთაგან, მიუხედავად იმისა, ჟურნალისტები საზოგადოების წევრები არიან თუ არა. კრებამ მიიღო ეს აზრი. არჩევნები გადაიდო შემდეგ კვირისათვის.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** 26 თებერვალს კ. ს. მესხის საბენეფისოდ წარმოადგინეს ორი ახალი პიესა: „ხალხის სიკვდ“ (3 მ.) და „სიკვდილი ნაპოლეონისა“ (1 მოქმედ.) პირველი პიესა ეკუთვნის სოინსტურ მოძრაობის მოთავეს ცნობილ თეოდორ გერცლის კალამს და საინტერესო შინაარსისაა. შეიძლება ბევრში არ დაეთანხმოს ადამიანი პიესის დედა-აზრს, მაგრამ ის კი უტყუარია, რომ პიესაში მეტად მრავალი საინტერესო აზრია გათანტული, ხშირად პარადოქსალურიც, ნიჭიერად არის დასურათებული ტიპები და ამიტომაც მაყურებელში დიდ ინტერესს იწვევს.

აი მოკლე შინაარსი პიესისა:

მდიდარ კრეზს, ლიდიის მეფეს (ს. ივანიძე), ერთი უცხო ახალგაზდა ყმაწვილი (ი. ზარდალიშვილი), ევკოსმოსი, განუცხადებს, რომ გამოიგონა ისეთი საშუალება, რომლითაც ერთ დღის განმავლობაში დაამზადებს იმდენ პურის ფქვილს, რამდენსაც ასი წლობით ვერ მოიწევენ უმდიდრესი მემამულენი, და ჯილდოდ ასეთ გამოგონებისთვის სთხოვს მეფესმისი ქალის ომფალას ხელს. მეფე პირველად არ დაუჯერებს ყმაწვილს და იმის კადნიერ თხოვნას იუკადრისებს, მაგრამ, როდესაც დარწმუნდება იმის სიმართლეში, აღტაცებაში მოვა. აღტაცებულია ამგვარის გამოგონებით კრეზის სტუმარი ეზოპოსიც (კ. მესხი), ცნობილი მთხზველი ზღაპრებისა და იგავ-არაკებისა. მაგრამ მეორე სტუმარი კრეზისა, გამოჩენილი კანონმდებელი ათენისა, სოლონი მეფეს ურჩევს, მოჰკლას ახალგაზდა ევკოსმოსი, ვინაიდან მისი აღმოჩენა ხალხს მხოლოდ და მხოლოდ უბედურებას მოუტანს: სიმშილი და სიღატაკე ისეთი სტუმრები არიან ადამიანისა, რომ აიძულებენ იმუშაოს და როდესაც მუშაობა აღარ იქნება საჭირო, ხალხი გაირყვნება, გაზარმაცდება და ოჯახი და სახელმწიფოც დაიღუპება, ამბობს სოლონი. მეფე უსმენს და სოლონიც ურჩევს კაცი გაუგზავნოს ფილოსოფოსს თალესს და მისი აზრი გაიგოს.

მეფე აძლევს ევკოსმოსს უდიდეს დაამზადოს ფქვილი და დაურიგოს ხალხს. ევკოსმოსიც არიგებს, მაგრამ ამას მეტად ცუდი შედეგი მოჰყვება. ხალხი ირყვნება, ზარმაცდება და ბოლოს აჯანყებასაც ახდენს; თავის წარმომადგენლების პირით ევკოსმოსის თავს თხოულობს, რომელმაც მათ პური მოაწოდა და სიმშილისაგან იხსნა. სოლონი სცდილობს ევკოსმოსი შეაყვაროს ომფალას; აღუქვს კიდეც თავისს მიზანს. ამასთან მას სურს ევკოსმოსიც ისე მოაჯადოვოს ომფალას სიყვარულით, რომ უარი ათქმევინოს თავის აღმოჩენაზე. მაგრამ ევკოსმოსი, დარწმუნებული თავის აზრის სიმართლეში, არა თუ უარს არ ამბობს, არამედ სურს ხალხს გააგებინოს თავის აღმოჩენის საიდუმლოებაც. სოლონის ცდა ფუჭად რჩება. ხალხი კი უფრო და უფრო ღელავს. ამ დროს თალესის პასუხიც მოვა. ფილოსოფოსი ურჩევს კრეზს, სოლონს მიმართე და ის მოგცემს ნამდვილ რჩევასაო. კრეზიც დაეთანხმება მაშინ სოლონის აზრს. სოლონი აძლევს ევკოსმოსს დასალევად საწამლავს.

საუბედუროდ, ჩვენმა მსახიობებმა სუსტად ითამაშეს ეს პიესა და ამიტომაც ისეთი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს, როგორც მოსალოდნელი იყო.

ვლ. ალექსი-მესხიშვილი (სოლონი) კარგი იყო მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც სოლონის გრძნობაა დახატული, მისი სიყვარული სჩანს მშვენიერ ახალგაზდას, თავის აზრით გატაცებულ ევკოსმოსისადმი. მაგრამ ამ ადგილებში, სადაც მესხიშვილს უნდა გამოეხატა სოლონის მტკიცე რწმენა, გატაცება თავის იდეით მსახიობი სუსტობდა. მასთან როლიც არ იცოდა.

ბ. ზარდალიშვილი (ევკოსმოსი) სინდისიერად მოეკიდებოდა თავის როლს და კარგად შეესწავლა იგი, მხოლოდ ევკოსმოსის გაპიროვნება ვერ ეხერხებოდა, აღფრთოვანება აკლდა და თავის გძელ-გძელ მონოლოგებს რაღაც გალობის კილოზე ამბობდა. ამისათვის ბუნებრიობაც აკლდა იმის თამაშს.

ძლიერ სუსტობდა ივანიძე, რომელსაც მდიდარ კრეზის, ლიდიის მეფის, როლი სრულიადაც არ შეეფერება. კრეზის სიმდიდრე, კრეზის მეფური შეხედულობა და მოქცევა ივანიძეს სულ არ ეტყობოდა.

სუსტი იყო აგრეთვე ქ-ნი მდივანიც (ომფალა). ამ მსახიობს ჩვეულებად აქვს, როდესაც რაიმე გრძნობის გამოთქმა სურს, თავი ხან ზევით ასწიოს, ხან განზე, ამით ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ამასთან მის ლაპარაკს რაღაც არა-ბუნებრივი ხასიათი აქვს. ხედავთ, რომ არტისტი თამაშობს და არა გაქვთ წარმოდგენილი, რომ სცენაზე ის პირია, რომელიც უნდა დაეხატა მსახიობს. ამიტომაც არა-ბუნებრივი კილო, ხელების უხერხულად შლა, თავის ქნევა მსახიობისა მხოლოდ უსიამოვნების გრძნობას იწვევდნენ მაყურებელში.

გვარიანი იყო თვით მობენეფისე—კ. მესხი ეზოპოსის, ცნობილ იგავ-არაკთა მთქმელის როლში.

პიესას რეჟისორის ხელი ძლიერ აკლდა. ხმაურობა მაშინ ასტყდებოდა ხოლმე, როდესაც სცენაზე არტისტი იტყოდა, ხმაურობას მესმისო; ხმლების ჩახა-ჩუხი გაისმოდა მაშინ, როდესაც სრულიადაც საჭირო არ იყო („ნენუჟნო“, რუსულად დაუძახა კ. მესხმა). სრულიად გამოურკვეველი დარჩა მაყურებელთათვის, თუ როგორ დაიჭირა ევკოსმოსი პურის დარიგების დროს, და ეს კი იმის ბრალი იყო, რომ ხალხი არა სჩანდა და სცენა ხალხში ამიტომ გამოტოვებულ იქმნა: გასაკვირველი იყო აგრეთვე ისიც, რომ ევკოსმოსი, ვიდაც ხოისეთ ხელოსნის შვილი, კრეზის შემოსვლის დროს ფეხზე არა დგებოდა.

სამაგიეროდ მეორე პიესა „სიკვდილი ნაპოლეონ I“-სა არტისტებმა მშვენივრად შეასრულეს და დადგმულიც გვარიანად იყო, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ კუნძული წმ. ელენესი ბუნების სილამაზით, სიმდიდრით მეტად ღარიბი, სცენაზე-კი ნაპოლეონის ოთახიდან შესამჩნევი ტროპიკული ტყე სჩანდა. რეჟისორმა არ მიაქცია რეჟისორმა ყურადღება იმას, რომ თვით პიესაში ნაპოლეონისათვის ერთი უბრალო ხეც ძვირფასია, ვინაიდან ჩრდილი არ იყო კუნძულზე, და ამ ხის მოჭრამ დიდი უსიამოვნება მიაყენა ნაპოლეონის ყველა მხლებელს. თვით მობენეფისე კ. მესხი მშვენიერი ნაპოლეონი იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი გაპიროვნება ნაპოლეონისა ცნობილ ევროპიელ არტისტსაც გაუჭირდებოდა. მოქცევა, მიხვრა-მოხვრა, სიტყვა-პასუხის გამოთქმა, ერთის სიტყვით, ყველაფერი, შესამჩნევათ წარმოგვიდგინა კ. მესხმა და ამიტომაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე.

კარგი იყო აგრეთვე ჯარის-კაცის როლში—იმხნელი. ნამდვილი ფრანგი, ნაპოლეონის მოტრფიალე, მისი გულისათვის სიცოცხლის არ დამზოგავი, გულითადი ჯარისკაცი წარმოგვიდგინა მსახიობმა. მოხდენილმა მოქცევამ, დამაზმა, გულის სიღრმიდან ამოსულმა ხმამ და განსაკუთრებით იმ ზომიერებამ, რომელიც გამოიჩინა იმხნელმა ამ როლში, სადაც ადვილია გადაჭარბება, ეს პატარა როლი ერთ უპირველეს როლად გახდა პიესაში. დანარჩენნიც ხელს უწყობდნენ ანსამბლს.

ხალხი ბლომად დაესწრო წარმოდგენას, თუმცა ისეთ დამსახურებულ მსახიობის ბენეფისს, როგორიც კ. მესხია, მეტი ეკადრებოდა. №

**ქართული თეატრი.** შაბათს, 27 თებერვალს, ივანიძისა და გვარაძის საბენეფისოდ წარმოადგინეს ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. ანსამბლი სუსტობდა.

კვირას, 28 თებერვალს, წარმოადგინეს „სამშობლო“. ამ პიესას ხალხი უოველთვის ბლომად ესწრება. ასე იყო ამ სადამოსაც. წარმოდგენამ საერთოდ სუსტად ჩაიარა. სვ. ლეონიძეს როლს ასრულებდა ი. ივანიძე. იგი ძალიან სუსტი იყო. ამასთან ძალზე ჩქარობდა. თუ ლეონიძის კარგი ამსრულებელი არ იყო, სულ არ უნდა დაედგათ პიესა. კარგები იყვნენ ზარდალიშვილი (ხიმშიაშვილი) ბ-ნი მესხიშვილი (შაჰ-აბაზი).

**გორი.** ადგილობრივ ვაჟთა პროგიმნაზიის სასარგებლოდ კნ. ერისთავის თაოსნობით გაიმართა საღამო, საკონცერტო განყოფილებით. ხალხი ბლომად დაესწრო. საღამომ კარგად ჩაიარა. ბოლოს გაიმართა ცეკვა.

**გრ. რობაქიძის ლექცია.** 23 თებერვალს გრ. რობაქიძის მიერ წაკითხულმა ლექციამ „რელიგია მშვენიერებისა“, ოსკარ უაილდის ნაწერების მიხედვით, დიდძალ საზოგადოებას მოუყარა თავი ქალაქის თეატრში.

ლექციის დაწყებამდე კიტა აბაშიძემ თავის მოკლე წინასიტყვაობით გააცნო საზოგადოებას ინგლისის სახელოვანი მწერალი ოსკარ უაილდი, რომლის მხატვრული პოეზია მთელი ზღვაა და წააგავს ჩვენი შოთა რუსთაველის პოეზიას. მისი ერთი გმირი, დორიან გრეი, მამაკაცურის სილამაზისა და სასიის იმგვარივე განხორციელებაა, როგორიც შოთას ტარიელია. აბაშიძემ მწუხარებით აღნიშნა, რომ ოსკარ უაილდი სულ ვერ იცნობდა საქართველოს და მის უდიდებულეს შვილის ნაწარმოებს „ვეფხის-ტყაოსანს“, რომელსაც შეეძლო უშრეტელი პოეზიის წყარო გადაეშალა მისთვის და საუკეთესო მხატვრული ნიმუშები დაენახვებინაო. მოკლე, მარტივი იყო აბაშიძის შესავალი, მაგრამ ყველასათვის ადვილ-გასაგები და კეთილ-მოსასმენი, რისთვისაც საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა.

გრ. რობაქიძის ლექცია კი 9 ნახ. საათზე დაიწყო და თითქმის 3 საათს გასტანა. საზოგადოება ტაშის ცემით

მიეგება დექტორს. ჩვეულებრივის, დაბალის, მაგრამ ბეჯითის ხმით დაიწყო. თეატრში სიჩუმე ჩამოვარდა. თუ მცა დექცია საზოგადოების დიდ ნაწილისთვის გაუგებარი იყო, მაგრამ მაინც ყველა უსმენდა დექტორს, და ეს არც გასაკვირველია: ჩვენს წინ იდგა მხატვარი, რომელიც თავის აზრს, თავის სიტყვას პოეტურ სამოსელში ახვევდა.

საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა დექტორი.

---

**ქუთაისი.** ქუთაისის საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მიეგება ვალერიან გუნიას ბენეფისს, და განა ღირსი არ იყო? ქუთაისის სცენის არსებობაში წრევანდელი სეზონი ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავია. 60-მდე წარმოდგენა! ვგონებ ამ რიცხვამდე არც ერთ სეზონში არ მიუღწევია წარმოდგენების რაოდენობას. ამას ზედ დაუმატეთ წარმოდგენების უმეტეს შემთხვევაში რიგიანად მოწყობა, მომზადება, მთლიანობა. გადაავლეთ ყველა ამას თვალი და დარწმუნდებით, რომ რომ ამ სასიამოვნო მოვლენის ერთი თვალსაჩინო მუშაკთაგანი—ბ-ნი ვ. გუნია—ღირსი იყო დაჯილდოვებისა.

ი. ჩიქოვანის სიტყვისა არ იყოს, გუნია მთელი სეზონის განმავლობაში მარტო კი რა თამაშობდა სცენაზე, იგი სცხოვრობდა სცენასა და კულისებში, მან ერთ მკვიდრს ოჯახად გადააქცია სცენა, შექმნა ატმოსფერა ერთსულოვნებისა, რომელიც ძალას და მხნეობას ჰმატებდა ყველას, რომ თავიანთი ტვირთი, სხვა დროს უფრო მძიმე და აუტანელი, შეუმჩნევლად და თავისუფლად მიეტანათ დანიშნულ ადგილამდე—სეზონის დასრულებამდე.

გუნიამ თავის საბენეფისოდ დასდგა ორი გადმოკეთებული პიესა: კომედია „ძალა აღმართსა ჰხნავს“ და ვოდევილი „არივ დარია“. პირველი პიესა ჩვენ მოგვწონს. მახვილი, მართალი და ჩვენი დროის შესაფერია იგი, და ისეთი თამაშის შემდეგ როგორც ამ საღამოს იყო, მეტად ხალისიანი მოსასმენიც. ჩვენ ამგვარი შინაარსიან „კომედიებს“ ვარჩევდით ზოგიერთ მყვირალა „დრამებს“ და უმჯობესი იქმნებოდა, ამგვარ პიესებს მთელის წლობით არ მისცემდნენ ხოლმე გადავიწყებას. მხოლოდ ერთი შენიშვნა: გუნიას ზოგიერთ კომედიაში და, მათ შორის ზემოაღნიშნულ პიესაშიაც, ალაგ-ალაგ მეტად გადაჭარბებული და ორ აზროვანად მისაღები სიტყვები აქვს ნახმარი ამგვარი წინადადებები იწვევენ ერთის მხრივ „თავაშვებულ“ სიცილს, მეორეს მხრივ—თავდახრილ სირცხვილს. არც ერთი სასურველი არ არის- გუნიას ბუნებრივი იუმორი საკმაოდ მოეპოვება სადი სიცილის გამოსაწვევად, და ამიტომ მეტი არ იქნება, ეს ადგილები შესწორდეს.

კომედიის მეორე მოქმედების შემდეგ დრამ. საზ. გამგეობამ მობენეფისეს საჩუქარი მიართვა და ბ-ნმა ი. ჩიქოვანმა ამ საზოგ. სახელით ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა: აღნიშნა მობენეფისის დვაწლი და მიულოცა დღესასწაული. ამის შემდეგ სხვებმაც მიართვეს ძვირფასი საჩუქრები, მაგალითად: ქართველმა ექიმებმა, ქართველმა ქალებმა, ქალაქის თვითმართველობის მოხელეებმა, ქართულ გიმნაზიის მოწაფეებმა (დიდი „ვეფხის ტყაოსანი“) და სხვებმა. მიიღო მობენეფისემ საჩუქრად ფულიც. **ჯაფარ-ფაშა.**

# ოსმალეთი

**პასპორტების მოსპობა.**

ოსმალეთის პარლამენტმა დაადგინა პასპორტები მოსპოს; ამას იქით ოსმალეთში აღარავის მოსთხოვენ პასპორტს.

„ერთობისა და პროგრესის“ საპარლამენტო ფრაქციამ კრება მოახდინა. თუმცა ფრაქციას ბევრი დეპუტატი ჩამოშორდა, მაგრამ მასში მაინც კიდევ ითვლება 154 წევრი. კრებას დაესწრნენ მინისტრები: იუსტიციისა, შინაგან საქმეთა, ფინანსთა და სამხედრო. ფრაქციის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ნიჭიერი დეპუტატი ხალილ-ბეი, თავმჯდომარის ამხანაგად სმირნის დეპუტატი სეიდ-ბეი, გულწრფელი ლიბერალი და გამოჩენილი ორატორი. პარტია ამ ჟამად უფრო ერთიანი და შეკავშირებულია, ვინემ წინად იყო.

# სპარსეთი

**სესხის საქმე.**

სპარსეთის ელჩმა მომთაზ-ეს-სალთანემ პარიზიდან შეატყობინა სპარსეთის მეჯლისს, საფრანგეთის ბანკირები მზად არიან ასი მილიონი ასესხონ სპარსეთს იმ პირობით, რომ სპარსეთის მთავრობამ ხუთი მილიონი მოუმატოს ტელეგრაფის გადასახადს.

# ამერიკა

**როკფელერის შეწირულება.**

ვაშინგტონიდან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: „შეერთებულ შტატების სენატს წარუდგინეს როკფელერის ფონდის ორგანიზაციის პროექტი. მომხსენებელმა სენატორმა გალინგერმა მოახსენა სენატს: როკფელერმა, რომელმაც სხვა და სხვა დროს 52 მილიონი დოლარი (1 დოლარი—2 მანეთია) შესწირა საზოგადო საქმეებისათვის, გადასწყვიტა თავის შეძლების მომეტებული ნაწილი შესწიროს ამერიკის ერს პროგრესის განსავითარებლად, ცოდნის გასავრცელებლად, მოქალაქეთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად და გაჭირვებულთა დასახმარებლად. როკფელერის ქონების ღირებულება 500 მილიონ დოლარს უდრის. როკფელერს ჰსურს, რომ ფონდის პროექტი განიხილონ ამერიკის კანონმდებელმა პალატებმა.“

იმავე გაზეთებს ატყობინებენ ნიუ-იორკიდან: „როკფელერის შეწირულება დიდს ინტერესს იწვევს მთელს ამერიკაში. როკფელერი მთელ 10 წელიწადს მოუნდა თურმე თავის პროექტის შემუშავებას. პროექტს ჯერ არ აქვეყნებს. ამბობენ, როკფელერი მთელ თავის დიდ შეძლებას ერსა სწირავს, განურჩევლად მოდგმისა და სარწმუნოებისა, მისი ვაჟი შვილი, დირექტორი ნავთის ტრესტს თავს ანებებს თავის თანამდებობას და თავის მამის პროექტის განხორციელებას შეუდგება.

ჯონ როკფელერი პირველი მდიდარია მთელს ქვეყნიერობაზე, იგი მეთაურია განთქმულ ნავთის ტრესტისა.

**ბრძოლა საარჩევნო უფლებისთვის პრუსიაში.**

პრუსიის დემოკრატია თავ-განწირვით, სახელოვნად განაგრძობს ბრძოლას საყოველთაო საარჩევნო უფლებისთვის. როგორც დეპეშებიდან ვიცით, წარსულ კვირას, 21 თებერვალს მთელ პრუსიაში კიდევ მოახდინეს დიდებული მანიფესტაციები. თუმცა ბერლინის პოლიციის უფროსმა სასტიკი ღონისძიება მიიღო ამ მანიფესტაციების ჩაშლელად, მაგრამ სოციალ დემოკრატები მაინც არ შეეპოვნენ მის სისასტიკეს და მაინც მოახდინეს დიდი მანიფესტაცია. „რუსკ. სლოვ.“-ს ბერლინელი კორესპონდენტი სწერს: „21 თებერვალს გამართულმა დიდებულმა კრებამ, რომელსაც 100000 სული დაესწრო, სოციალ-დემოკრატების მარჯვე ტაქტიკის წყალობით, შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. თავსლაფი დაესხა მხოლოდ პოლიციის უფროსს. იგი კრებას მოელოდა ტრეპტის პარკში და ამიტომ მთელ პოლიციასაც იქ მოუყარა თავი, ამ პარკს წრე შემოავლეს. ქვეითმა და ცხენოსანმა პოლიციამ და ჟანდარმერიამ, პარკისკენ მიმავალი გზები მთლად შეკრეს რკინის გზის მატარებლებს აღარ აჩერებდნენ პარკთან.

სოციალ - დემოკრატებმა, პოლიციის მოსატყუებლად, პარკისკენ 6,000 კაცი გაგზავნეს. პოლიციამაც სწორედ ამ ხალხზე მიიტანა იერიში და მასზე იყარა ჯავრი. ამავე დროს ტირგარტენის ბაღი, მთლად გაიჭედა ხალხით, ბაღის ყველა ხეივანი დემონსტრანტებით გაივსო. დემონსტრანტებმავე დაიჭირეს მოედანი პარლამენტის წინ და რეიხსტაგის კიბე. ხალხმა ბისმარკის ძეგლთან გაშალა წითელი ბაირაღი, ზედ წარწერით: „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა“. სიტყვები წარმოსთქვეს, იმღერეს „მარსელიეზა“ და იძახოდნენ: გაუმარჯოს საყოველთაო, პირდაპირ საიდუმლო და თანასწორ უფლებას“!

პოლიციელი ოფიცერი 20 ცხენოსან პოლიციელით დაეცა დემონსტრანტებს, რამდენიმე კაცი დააშავა, მაგრამ მალე იძულებული იყო უკან დაეხია. ხალხმა ლანძღვაგინებით გაისტუმრა ოფიცერი. პოლიცია მთლად დაიბნა.

კრებამ რამდენსამე საათს გასტანა და დემონსტრაციით გათავდა. სოციალ დემოკრატები ჩინებულად იქცეოდნენ. გამგენი თვალ-ყურს ადევნებდნენ წესიერებას და ხალხს აფთხილებდნენ პროვოკაციასა და შეტაკებისაგან, რაც გულითა სურდა პოლიციას, რომელიც იარაღით თავს ესხმოდა მშვიდობიან დემონსტრანტებს. მაინც დაჭრილი ცოტა იყო, 70 კაცამდე დაატუსაღეს. სისხლის ღვრა მოხდა ბერლინის განაპირა უბნებში. რადიკალური პრესა აქებს სოციალ-დემოკრატებს, რომლებმაც თავდაჭერილობა და დისციპლინა გამოიჩინეს და სასაცილოდ იგდებს პოლიციის უფროსს, რომელიც სამსახურიდან უნდა გადადგეს.

პროვინციალურ ქალაქებში: კელნსა, ესენსა, დუისბურგს, მაგდენბურგსა, კასელსა, გამსა, ჰალესა, კილსა, ალტონასა და თითქმის მთელ პრუსიაში დიდი მანიფესტაციები მოახდინეს და ყველგან მოითხოვეს საყოველთაო საარჩევნო უფლება. დემონსტრაციებმა ყველგან მშვიდობიანად ჩაიარა, რადგან პოლიცია არ დასწრებია. მხოლოდ ზალინგენსა და გარნში მოხდა შეტაკება პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის და სისხლიც დაიღვარა.

ცნობილი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი გერდანი საპამფლეტოში მისცეს წერილისთვის: „თუ ნებით არ მოგვცემთ, ძალით მოვიპოვებთ ჩვენს საარჩევნო უფლებასაო“.

რურის ოლქის მთა-მადნის მუშათა მთავარმა კომიტეტმა დაადგინა: თუ მთავრობა არ შესცვლის საარჩევნო რეფორმის პროექტს, ჩვენ საყოველთაო გაფიცვას მოვახდენთო.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გაზეთ „ნოვაია რეჩ“-ის მე-41 ნომერში დაბეჭდილი იყო ვინმე ცენზიან აზნაურის წერილი „ქართველ თავად-აზნაურთა საყურადღებოდ“, რომელიც აგებულია ყალბ ცნობებზე და თავიდან ბოლომდე დაშორებულია სინამდვილეს. გთხოვთ ნება მომცეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ნათელი მოვფინო საკითხს და საქმის ნამდვილი ვითარება განვმარტო. ამა 8 და 15 თებერვალს სადგილ-მამულო კომისიამ განიხილა სიტყვიერი განცხადება თავ. გ. ო. ამილახვრისა, რომელიც თხოულობდა თავის მამულის ლიკვიდაციის მოხდენას კომისიის დახმარებით. კომისიამ დაადგინა, მოსთხოვოს ამილახვარს წერილობითი განცხადება, რომ ნამდვილად სურს მამულის ლიკვიდაცია. ამილახვარმა უნდა წარუდგინოს კომისიას დაწვრილებითი ცნობები თავის მამულის რაოდენობისა, შემოსავლიანობისა და ღირებულობის შესახებ. კომისიას ჯერ არც კი უცნობებია თავ. ამილახვრისათვის თავისი დადგენილება. ცნობების მიღების შემდეგ კომისია მსჯელობას იქონიებს და შესაძლებელია იკისროს ამილახვრის მამულის ლიკვიდაცია თანახმად თავის წესდების ერთი მუხლისა (ბ). არც კომისიას და არც თვით თავ. ამილახვარს კრინტიც არ დაუძრავთ მამულის იჯარით აღებაზე, მაშასადამე, არც შეიძლებოდა ლაპარაკი საიჯარო ფულად 27—30 ათას მანეთის შეძლევაზე, როგორც ეს მოხსენებული აქვს ბ-ნ ცენზიან აზნაურს.

რაც შეეხება იმას, რომ სადგილ-მამულო კომისიამ თავის გამგეობის ქვეშ მიიღო ტფ. სათავად-აზნაურო ბანკზე დარჩენილი სოფლის მამულები, უნდა ვაცნობო საზოგადოებას, რომ საქმე ასეთ მდგომარეობაშია: ბანკის მორიგმა კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ ბანკზე დარჩენილი მამული სალიკვიდაციოდ სადგილ-მამულო კომისიას გადასცემოდა. ამ სურვილის ასასრულებლად ბანკის გამგეობამ ერთის წლის ვადით გადასცა თავისი მამულები სადგილ-მამულო კომისიას, რომელმაც უნდა განაგოს და მათი ლიკვიდაცია უნდა მოახდინოს. ყველა ხარჯი, რაც-კი საჭიროა მამულების გამგებლობისა, ლიკვიდაციასა და სასამართლოს პროცესისათვის, თვით ბანკმა იკისრა. სადგილ-მამულო კომისიამ მამულების გამგენი დანიშნა. ისინი ბანკის მოსამსახურეებად ითვლებიან და მამულის შემოსავალიც პირდაპირ ბანკის კასაში შედის.

ამნაირად, სადგილ-მამულო კომისიამ მიიღო თავის გამგებლობის ქვეშ ბანკზე დარჩენილი მამულები სალიკვიდაციოდ და ამ ოპერაციის მოსახდენად ის არა თუ ზარალს მიიღებს, არამედ სარგებლობასაც მოელის, რადგან ბანკის გამგეობა გაყიდულ მამულების თანხიდან 2%-ს კომისიას გადასცემს. **საქმესთან ახლო მდგომი.**

---

რადგან შეძლება არა მაქვს მადლობა უძღვნა ყველას, ვინც პირადის ნახვით, ან დეპეშით და წერილით თანაგრძნობა გამომიცხადა ჩემზე თავდასხმის გამო, ამიტომ ნება მიბოძეთ, თქვენი პატივცემულ გაზეთის შემწეობით გამოუცხადო ჩემი გულწრფელი მადლობა. **ალექსანდრე მილოვი.**

---

**(სამედიატორო სასამართლო)**

გაზეთ „ივერიის“ ამა წლის მე-23 ნომერში ბ. დიმიტრი გიგინეიშვილმა დასტამბა წერილი, რომელშიაც მას მოჰყავდა ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის გამგეობის წევრის კანდიდატის თ—დ ივანე ნიჟარაძის მისდამი მიწერილი ბარათი და ბრალსა სდებდა მას, ვითომ თ—დმა ნიჟარაძემ აღუთქვა მას დახმარება დავით გურიელისეული მამულის ბანკისაგან გლეხებისათვის ყიდვაში, და მიუხედავათ ასეთი დაპირებისა, უმტყუნა მას და მას კონკურენტათ წამოაყენა ვაჭარი ჯანელიძე, ამით ხელი შეუშალა მას და ჩაფუშა მისგან დაწყებული კეთილი საქმე.

თ—დმა ნიჟარაძემ ამ წერილით თავი შეურაცხ-ყოფილათ ჩასთვალა და ბ. გიგინეიშვილი სამედიატორო სამართალში გამოიწვია. თავისი მხრით მან მედიატორებათ დანიშნა ბბ. დალმატი ვალდავა და იაზონ ბაქრაძე, ბ. გიგინეიშვილმა კი ბბ. ტიტე ართმელაძე და ვასილ თუმანიშვილი. მედიატორეებმა სასამართლოს თავმჯდომარეთ აირჩიეს ბ. დავით ხელთუფლიშვილი. სამედიატორო სასამართლოს ჰქონდა რამდენიმე სხდომა, განიხილა ორივე მხარის მიერ გაზეთებში მოთავსებული წერილები, ჩამოართვა ჩვენება რამდენიმე მოწმეს, რომელთაც უნდა სცოდნოდათ ამ საქმის გარემოება, მოისმინა მხარეების განმარტება, და თათბირის შემდეგ ოცდახუთ ოკტომბერს (1909 წლისა) შემდეგ დასკვნამდის მივიდა ერთხმათ:

1. სასამართლომ უეჭველად სცნო ის გარემოება, რომ ბ. გიგინეიშვილს გურიელისეული მამულის ყიდვა უნდოდა გლეხებისათვის და მათი მონდობილობით. ამაში სასამართლო დარწმუნდა თ—დ ნიკო თავდგირიძის და ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრის თ—დ დავით მიქელაძის ჩვენებით, რომლებმაც ახსნეს, რომ გიგინეიშვილთან ერთად მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ოთხი გლეხი, წარმომადგენელი გურული გლეხებისა, და ამ საქმეში თვით მოწმენი ბ. გიგინეიშვილს დახმარებას უწევდნენ, რადგან მას საზოგადოებრივ მნიშვნელობას აძლევდნენ.

2. სასამართლო არ სცნობს დამტკიცებულად იმ ბრალდებას, ვითომ თ—დ ნიჟარაძეს თავიდანვე სცოდნოდეს მიზანი ბ. გიგინეიშვილისა, აღეთქვას ამ უკანასკნელისათვის დახმარება გლეხების სასარგებლოთ და მერე ემტყუნოს ამ დაპირებისათვის.

ხოლო ის კი დამტკიცებულათ უნდა ჩაითვალოს, რომ თ—მა ნიჟარაძემ ბ. ჯანელიძის მიერ პირველი თხოვნის შეტანის შემდეგ მაინც გაიგო კომიტეტის წევრის თ—დ დავით მიქელაძისაგან, რომ ბ. გიგინეიშვილი გლეხებისათვის ყიდულობდა გურიელისეულ მამულს და, მიუხედავათ ამისა, მაინც ცდილობდა, რომ აღნიშნული მამული ბ. ჯანელიძეს შეეძინა.—თ—დ ნიჟარაძის განმარტება, რომ მას თ—დ მიქელაძის მიერ კერძოთ გადმოცემული ცნობა სარწმუნოთ არ მიაჩნდა, პატივსადები არ არის, რადგან თ—დ ნიჟარაძეს ადვილათ შეეძლო, თუ ეჭვი დაებადა, ეს კითხვა დანამდვილებით გამოერკვია იმ პირთა გამოკითხვით, რომელნიც, მისივე სიტყვით ამ საქმეში ახლო მონაწილეობას იღებდნენ, მით უმეტეს, რომ ეს პირნი მასთან დაახლოვებულნი არიან როგორც მაგ. თ—დი ნიკო თავდგირიძე და თ—დი ჯაბა გურიელი.

3 თუმცა გლეხებთან მამულის ყიდვაში მეტოქეობა არ ეწინააღმდეგება ამ ზნეობრივ პრინციპებს, რომელნიც გამეფებულნი არიან დღეს არსებულ წესწყობილებაში, მაგრამ, სასამართლოს აზრით, იგი შეუფერებელი ისეთი ადამიანისათვის, რომლისთვისაც ძვირფასია მშრომელი ხალხის ინტერესები და მისი ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესობა.

4. სამედიატორო სასამართლომ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ როგორც თვითონ თ-მა ნიჟარაძემ აღიარა, მას ბ. ჯანელიძესთან და მის ვექილ ბ. გამრეკლიძესთან დადებულ პირობის ძალით აღთქმული ჰქონდა განსაზღვრული მონაწილეობა იმ მოგებაში, რომელსაც ბ. ჯანელიძე გურიელისეული მამულის ყიდვით მიიღებდა, ხოლო თ-დ ნიჟარაძეს არ უცვნია საჭიროდ ეს გარემოება გაემჟღავნებია ბანკის გამგეობისათვის.—სამედიატორო სასამართლოს აზრით, თუმცა ის პირნი, რომელნიც ბანკში რამე თანამდებობას ასრულებენ, არ არიან მოკლებულნი უფლებას, ბანკისაგან საჯარო ვაჭრობით ან კერძო შეთანხმებით მამული შეიძინონ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისინი უნდა მოქმედებდენ გამოჩენილად, რათა გამგეობისათვის ცხადი იყოს, ვისთან აქვს საქმე—მყიდველთან თუ დაინტერესებულ ბანკის მოსამსახურესთან.

ამ მოსაზრებით სასამართლოს შეუფერებლად მიაჩნია, რომ გამგეობის წევრმა ან მისმა კანდიდატმა, კიდეც რომ იმ ჟამად თანამდებობას არ ასრულებდეს, გამგეობისაგან დაფარულად მონაწილეობა მიიღოს ბანკის მამულის ყიდვაში.

სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარე **დ. ხელთუფლიშვილი.**

სასამართლოს წევრნი: **იაზონ ბაქრაძე, დალმატი ვალდავა, ტიტე ართმელაძე, ვასილ თუმანიშვილი.**


# განცხადებანი

**◀● ზედა იუბკა! ●▶**

2 მან. 75 კ. ვგზავნი ფოსტით, ფას-დადებით, დამზადებულს ქალის შალის ზედა იუბკას, ტრიკოხას, მკვიდრს, ყოველ გვარ მუქ-ფერისას, მეკერილს და დამზადებულს უკანასკნელ მოდაზე.

ასეთივე იუბკა წმინდა შალის შევიოტისა —3 მ. 25 კ. გაგზავნა 35 კ. ვინც 3 იუბკას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს ქარხანა გადიხდის.

ვგზავნი აგრეთვე ნაჭრებს ქალის ხალათისათვის, საზღვარ-გარედ დამზადებულს აბრეშუმის დანაკერებით: წინ, ხელებზე და საყელოზე. 3 ნაჭერი 3 ხალათისთვის 4 მ. 50 კ. ვინც ამას იუბკებთან ერთად დაიკვეთს—მხოლოდ 3 მ. 75 კ. (ზომა იუბკებისა სანტიმეტრებით უნდა აღინიშნოს, ან ზომა უნდა გამოიგზავნოს). ხამიშო არაფერია: ვისაც საქონელი არ მოეწონება, ფულს უკან დაუბრუნებთ.

ადრესი: Лодзь, 1-ое отд. фирма М. А. Бабушкинъ. Д.

(Мецль и К-о. N 11360). (3—ნ.—3)

---

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ-ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—58)

---

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს

მესამე ნომერი ჟურნალ

## „განათლებისა“

**შემდეგის შინაარსით:** 1. ვ. რუსაკოვი. **ბავშვის სიცილი**, მისი პსიხოლოგიური, პედაგოგიური და ჰიგიენური მნიშვნელობა **ლ. ბოცვაძისა.** 2. სწავლა აღზრდის საქმე ძველ საქართველოში X—XIII საუკ. **სამ. ცომაიასი.** 3. ახალი მიმართულება პედაგოგიაში **ლ. ბ—ძისა.** 4. ბუნების მეტყველება და ისტორია **ს. ავალიანისა.** 5. გადარჯულებული (ლექსი) **აკაკისა.** 6. ბუზნანელ მასწავლებლის დღიური (სენკევიჩიდან) **თ. მაგმაძისა.** 7. სიმღერა (ლექსი) **ვაჟა-ფშაველასი.** 8. სულა და ღმერთები (სპარსული ლეგენდა) **გაჩანასი.** 9. რუსული ენის პროგრამა საქართ. სახალხო სკოლებისათვის, განმარტებით. 10. უცხო ენების ადრე სწავლება (სიმონოვიჩისა). 11. პედაგოგიის ისტორია გერმანულიდან (ვაიმერისა) **ნ. ლორთქიფანიძისა.** 12. გეოგრაფიული სახელების ახსნა პროფ. **ალ. ხახანაშვილისა.** 13. შინაური მიმოხილვა Ratti-სა. 14. მარიამ დემურია და მელ. ჩოგოვაძე (ნეკროლოგები). 15. სახალხო სამკითხველოები გერმანიაში. 16. სასკოლო საკითხები საფრანგეთში. 17. ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის არსებობა. 18. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

**ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან. სოფლის მასწავლებელთათვის ორი მანეთი.**

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

P. S. რედაქცია ამით აცხადებს, რომ **დავით პავლიაშვილთან**, როგორც აგენტთან მას დღეის შემდეგ არავითარი კავშირი არ აქვს.

---

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წ. ყოველ კვირეულ სურათებიან რუსულ გაზეთ**

## „სტამბულსკია ნოვოსტი“-ზე

(Стамбульскія новости)

გაზეთი გამოდის სტამბოლში. „სტამბულსკია ნოვოსტი“ ერთად-ერთი გაზეთია, რომელიც ოსმალეთში რუსულ ენაზე იბეჭდება.

**ხელის მოწერის ფასი:**

| | ოსმალეთში | რუსეთში და საზღვარგარედ |
|---|---|---|
| 1 წლით . . | 80 პსტ. | 8 მან. |
| 6 თვით . . | 40 პსტ. | 4 მან. |
| 3 თვით . . | 25 პსტ. | 2 მ. 50 კაპ. |

**ადრესი**: Pèra, rue agna Hamam № 35 (Турція) Constantinople.

(5—1) მთავარი რედაქტორი **ჯელალედ-კარკმასი.**

---

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა

## კოოპერაცია

(თეორია ისტორია და პრაქტიკა).

გამოცემა „შრომის“ სტამბის ამხანაგობისა.

**შინაარსი:** რა არის კოოპერაცია, კოოპერაციის მიზანი, ისტორია, სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლად. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში. ◆ **წიგნის ფასი 35 კაპ.** ◆

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით. ერთი ცალის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома“ Василію К. Болквадзе. (10—ნ.—7)

---

◀ **ქუთაისში ქირავდება** ▶

## სიცოცხლის წყაროს

რესტორანის ბინა ბაღით. ქარვასლის ქუჩის ბოლოში თეთრ ხიდთან. გაქირავების პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება სახლის პატრონთან ეზოში, ანუ მის რწმუნებულ ივანე ბარქაიასთან მაღაზიაში. (10—კვ. —7)

---

**ტ ა რ უ მ ო ვ ი ს ს ტ ა მ ბ ა ს თ ა ნ**

ტფილისში, ბარონსკისა და დიდი ვანქის ქუჩების კუთხეში,

## გავხსენით ქაღალდ-ტოპრაკების ქარხანა

**ა მ ფ ი რ მ ი თ:**

## —◀● ამხანაგობა „ზვეზდა“, ●▶—

სადაც ვაზადებთ სხვა და სხვა ზომის ტოპრაკებს, როგორც უბრალოებს, ისე ნაკეციანს გარმონის მსგავს, შემკვეთელ ფირმის ბეჭდით ან უბეჭდოთ. მზადდება ელექტრონის მანქანით, რომელიც საზღვარ-გარეთიდან მივიღეთ.

შეკვეთილ საქმეს გაკეთებთ ხელმისაწვდენ ფასად, სწრაფად, კარგად და სინიდისიერად. ტფილისს გარედ ვცხოვრებთ ტოპრაკები გაეგზავნება ფასს-დადებით ბეს მიღების შემდეგ.

აქვე მიიღება ყოველგვარი სასტამბო საქმე.

ადრესი წერილებისთვის: Тифлисъ, фабрика бумажныхъ мѣшковъ, Т-во „Звѣзда“.

ტელეგრამებისთვის: Фабрика „Звѣзда“.

(6—147—5) პატივისცემით **ამ—ბა „ზვეზდა“.**


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ხ. აგლაძე.**